სახალხო გაზეთი

№ 911 ხუთშაბათი, 6 თებერვალი 1913 წ. № 911

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებული განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ ხუთმოს 4 ხაათამდე ღირს 3 მ. 4 ხაათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ზროაზ"-ში, მარჯანიშ ქუჩა, და ედირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ საეპერო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიახნიცკის ქ., ხ. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე ავადმყოფებს (ვირა-უქმეებს) გარდა, თებერვლის 3 ხაათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; თაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ეროვნივი მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, ვირა-უქმეების გარდა, დილის 10 ხაათიდან ნაშუადღევის 3 ხაათამდე. მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის მისამართი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ეროვნულ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველ-კვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი თებერვალიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 5 მ. 25 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

ეძ ვ. დ. ღამბაშიძის
სანატორიუმი და საზაფხულო სამყოფელი
ბაბარა-ცემი
გაიხსნება 15 თებერვლიდან—31 მარტამდე.
მისამართი ფოსტით: ტფილისი, ეძ. ვ. დ. ღამბაშიძეს.

ახალი კლუბი
(საზაფხულო სადგომი)

ხუთშაბათს, 6 ივნისს, 1913 წ. ქართულ დრამატ. დასის მსახიობთა მიერ **ვასო აბაშიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება.

რაც არ მერგება, არ შემერგება, მხიარულ. ვოდევ. 1 მოქმ.

2) **ბებრის საღერღელი,** მხიარ. ვოდ. 1 მოქ.

მონაწილეობენ: ქ.-ნნი ტ. აბაშიძე, ვ. ჩერქეზიშვილისა და ბ ნნი: აბაშიძე, გუნია, ვ. შალიკაშვილი, მგალობლიშვილი, ბერიშვილი და ახვანი. **დასაწყ. სად. 9 ს. თეატრის დარბაზში წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.** წარმოდგენის შემდეგ **ცეკვა.** დაუკრავს სამხედრო ორკესტრი. 1234

ვაჭრობა-მრეწველობის მოსამსახურეთა საზაფხულო კლუბში
(ყოფილი „მიმოზას" ბაღი, მიხეილის პროსპექტი № 143),
ზუბალაშვილების სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის სასარგებლოდ
შესდგება **საინტერესო საღამო.**
დამსახ. მსახიობ **ქ-ნ ელ. ჩერქეზიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება მეორე მოქმედება ავქა ცაგარლისა **მათიკო.**
2) **სინემატოგრაფიული სურათები.**
3) პტიშვო კონფეტი, ფოსტა, ყვავილები, კიოსკები, კოშკები; ტუმბოზკები და სხვა.
ბუფეტი. ბაღში დაუკრავს სამხედრ. მუსიკა და სიმებიანი ორკესტრი.
1166 შესვლის ფასი 20 კ. საღამოს დიასახლისი **ეფ. ხ. მესხი.**

ბროლის ღიმილი
ლექსები უროთმოდ
ი. გრიშაშვილისა
ორი შაური.
ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში ტფილისში და ტფილისს გარეთაც. 286

დორპატის პერძო უნივერსიტეტთა კურსების
საგაზაფხულო
(სახალხო განათლების სამინისტროს გამგებლობაში).

მიიღება თხოვნები: I, II, III, VI და V კურსებზე საექიმო ფაკულტეტისა, I, II, III IV ტ კურსებზე საბუნებისმეტყველო-საისტორ. ტ სამათემატიკო ფაკულტეტებისა და I და II კურსებზე კბილის საექიმო განყოფილებისა.
კურსები—უმაღლესი სასწავლებლისა. სწავლის პროგრამა უნივერსიტეტი პროგრამას ეთანხმება და სახალხო განათლების მინისტრის მიერაა დამტკიცებული.
საექიმო ფაკულტეტის სასწავლო კურსი ხუთწლიანია, საისტორიო, სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებისა—ოთხწლიანი.
მიიღებიან ორივე სქესის პირნი. სწავლის ფასი საექიმო ფაკულტეტზე ერთს სემესტრში 75 მანეთია, ბუნების მეტყველების, სამათემატიკო და საისტორიო ფაკულტეტებზე ერთს სემესტრში—50 მან. კბილის საექიმო განყოფილებაში—75 მან.
თხოვნები **კურსების დირექტორის სახელზე** უნდა მიეცეს: (ქ. დორპატი, დორპატის **კერძო უნივერსიტეტთა კურსები,** გლინიანისა და პროკიოფიევის ქუჩების კუთხე, კურსების კანცელარია) 1238

ტფილისის კერძო სამკურნალო
ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.
ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.
	მაღალაშვილი გ. გ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.
	მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—. ს.
	ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.
	ექ.-ქალ. ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტაცია ყოველ დღე 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.
	თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.
	მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1.
	სულაკოვი ა. ი. ყოველ დღე 2—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ.-ქალ. ბაძრაძე-დედაბრიშვილისა ყ.**-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½
	მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1.
	ფედოროვი ბ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 0½—11.
	ჯავახიშვილი ნ. ნ. ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12
	ფოლდოევი ბ ს. ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის ა ცხვირ.	**ათანიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
	ტრემბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე 1½—2.
ოვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტეოიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 0 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606" და „914" წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. **ტ. 1035**

სამკურნალო
სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა
გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, აპარტამენტ. ბიბ. მახლობლად.
ტელეფონი № 481.
ვადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.
ახპისოვი. ყურის, ცხვირის და ყელის ავადმ., ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
არლუთინსკი, ბავშვ. შინაგ.. ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.
ბ. ხუდაბაშევი. ბავშვ. შინაგანი ავადმ., ყოველ დღე 2—3 ს.
ბოიკოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.
ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ.. შაბ. და კვირ. 4—5 ს.
გ. ნ. გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.
ბაღდადევი. კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ—2 ს.
ექ. ქალ. იოსელიანი. ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.
კლიმკევიჩი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.
ლიმონი. კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.
ნაიდენოვი. ვენერიულ, კანისა და სამარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.
ნოვიცკი. ქალური და სანეიტა ავადმ. ყოვ.-დღე 1—2 ს.
ტ. ი. რუდენკო. შინაგან სნეულ. კონსულტატი. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.
ბ. ბ ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.
ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა; 11½—12½ საათ
შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1½ 2½ ს.
სუროვცოვი. შინაგანი ბავშვ. 3—4 ს.

სათვალების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserman"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა 1070.

ვაგზლის პერძო
სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ხ. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ 9½ ს. 0 ს.
ბ. 5. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ 11—1 1/2 ს
ბ. ბ. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—1½ ს.
ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—1½ ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. 1—2 ს. მიკროსკოპიული., ბაქტეოროლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. ორმედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგეობით

წამლოგა „606"-ით 1053

საბურთალოზე
მშვენიერ ალაგას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მთავალ ხიდის მახლობლად დაიკრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკვრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქოთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვადა,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. **ტ. 1220**

ექიმი შ. ა. მიქელაძე. იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფ-ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—8 ნახ. საათ. კახეთის ქ., № 6.

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 191

ექიმი ბ. ი. ბერიშვილი
(ყოფილ. ...) ... **ბაბანინ** ... **ბაბანინ** ... № 94, ... 10

დოქტორი მედიცინისა
გ. ა. ახვერდოვი,
პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისან ავადმყ. დილ 12—1 ს., საღ 6—8 ს. **სემიონოვის ქ.,** № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ეკიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16 159

ექიმი ივ. გოგმართელი პირველი ივნისიდან პირველ ენკენისთვემდე ავადმყოფებს მიიღებს **ბორჯომში.** აგარაკი მირზოევისა. 307.

ექიმი ქუთაისში ვ. თ. ტყეშელაშვილი.
ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესასვევში. 1130

ექიმი ბილისა ნინო რცხილაძე
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლგაქუჩის შესასვევი № 5, ... ქალაქ ...

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

სტუდენტი—პოლიტექნიკი ამზადებს მოწაფეებს ძათემატიკასა და სხვა საგნებში, გარდა ლათინურისა. თანახმაა ქალაქ-გარედ წასვლისა.
ყოფიანის ქუჩა, N 15, ბინა 2 ნახვა შეიძლება დილის 10—12 საათ. და 2—5 საათ. 333

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერ. საგენტო)

4 თებერვლის სხდომა

თავმჯდომარეობს თავ. **ვოლკონსკი.** განაგრძობენ სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

პეპელიაევი საშუალო სკოლის მდგომარეობის შესახებ ლაპარაკობს და უნუგეშოთა სცნობს. საშუალო სასწავლებლების საკმაო განუვითარებლობის ბრალი სრულიად სამინისტროს კი არ ეღება, არამედ საბიუჯეტო პოლიტიკის მთელ მიმართულებას, რომელიც აუარებელ ფულს უნაყოფოდ ჰხარჯავს; საკულტურო საჭიროებანი კი უკანასკნელ რიგშია მოქცეული. ოროატორი სამინისტროს იმაში ჰკიცხავს, რომ ნაკლები ენერგიით იცავს ინტერესებს განათლებისას, რომ თავის ურთიერთობით კერძო სკოლის განვითარებას ეწინააღმდეგება, რაც კორრექტივია სახაზინოსი, ამით ხელს უშლის საპედაგოგიო იდეების ცხოვრებაში გატარებას.

ბადაევი ოფიციალურ ყოველ-წლიურ „როსსია"-ს ეძყარება და შეჰნიშნავს, რომ რუსეთში ათას მცხოვრებზე 50-ზე ნაკლები წერა-კითხვის მცოდნე მოდის, რაც სახელმწიფოს დაუჯერებელ ჩამორჩენას ამტკიცებს. ოროატორი აღნიშნავს ნაკლებ პროცენტს წერა-კითხვის მცოდნეთა რუსეთში, უუფულობას მასწავლებელთა და მოსწავლეთა.

მთავრობისადმი მკაცრი სიტყვებისათვის თავმჯდომარე ბადაევს სიტყვას ართმევს.

ჩიხაჩევ 1-ი ამბობს, რომ ჩრდილოეთ-დასავლეთის ვეებერთელა ოლქი უმაღლესს სასწავლებელს მოკლებულია, რომ რუსეთის ტომის მთელ ნაწილს, ბელორუსებს, საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი არა აქვთ თავისი წარსული ავ-კარგის შესასწავლად და თან შეიროვე საჭიროებათა კასაგებად. დასავლეთ მხრის დეპუტატების სახელით ოროატორს ფორმულა შეაქვს, რომლითაც სამინისტროს წინადადება იძლევა ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარეში უნივერსიტეტის დაარსების საკითხი მეტიმეშაოს, პირველ ხანებში თუნდ ერთ-ორი ფაკულტეტით და სათანადო კანონ-პროექტი შემოიტანოს (მარჯვენით ტაში).

ზალიტი ამბობს, თუმცა ბალტიის მხრის გუბერნიებში წერა-კითხვის უკოდინარნი ნაკლებად არიან, ვინემ იმპერიის დანარჩენ ადგილებში, მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ დაწყებითი განათლება ძალიან კარგად იყოს დაყენებული. ოროატორი ამტკიცებს, რომ 1887 წ., რაც საქალ ქო და სასოფლო სკოლები სამინისტროს ხელში გადავიდა, დაწყებითი სწავლა, მეტადრე სოფლებში, არამც თუ წინ არ წავიდა, პირიქით ჩამორჩა ბევრ საერობო გუბერნიებთან შედარებით. ოროატორი ამბობს, სკოლის მმართველნი ბევრი უნდა ეცადონ გააუჯობესონ სასკოლო საქმე იმის მაგიერ, რომ თითქმის მუდამ გარუსების დანერგვას არ მისდევდნენ.

იანუშკევიჩი შენიშნავს ამ აუტანელ დევნასა და შეწუხებაზე, რასაც სჩადის სამინისტრო ლიტვაში ადგილობრივ ენებზე სწავლების გამო. გრძელ სიტყვის დასასრულ ოროატორი იმ დასკვნამდის მიდის, რომ სამინისტრო განაპირა ქვეყნებში ადგილობრივ ენებს ებრძვის და ამიტომ საზოგადოდ სწავლა-განათლების საქმე ადგილობრივ თვითმართველობის ხელში უნდა გადავიდეს.

მილიუტინი განსაკუთრებით პროფესიონალურ სკოლის შესახებ ლაპარაკობს და სურვილს გამოსთქვამს, რომ მთავრობამ შეიმუშავოს გეგმა სისტემატიურად პროფესიონალურ სკოლების გახსნისა. ეს გეგმა უსათუოდ შემუშავდეს არა მარტო პროფესიონალურ განათლების მოღვაწეთა მონაწილეობით, არამედ სამრეწველო და საზოგადო კავშირების წარმომადგენელთა მონაწილეობითაც. ამ გეგმაში უნდა შეტანილ იქმნეს დახარება სკოლის გარეთ სწავლებისა. საჭიროა შექმნა საპროფესიონალო მუზეუმების, სამკითხველოების, გამოიცეს საკირკულიარო წიგნები, განვითარდეს კითხვები, საუბარი, სატეხნიკო მოხსენებანი, გაიმართოს კურსები მოზრდილ მცხოვრებთათვის, დაარსდეს საკვირაო სალამოები, მოსამზადებელი საპროფესიონალო სკოლები მუშებისთვის.

გელოვანი ყურადღებას აქცევს სასკოლო განათლების მდგომარეობას კავკასიაში და ამბობს, რომ დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში კავკასიაში საქმე ცუდად არის დაყენებული; სამწუხაროდ სკოლის კარები პოლიტიკისთვის ფართოდ არის გაღებული; როდესაც მთელი მხარე უმ ღლესს სასწავლებლის გახსნასა სცდილობს კავკასიაში თავის საკუთარ ხარჯით, მინისტრი ცდილობს ამ შუამდგომლობის უარყოფას.

ვორონკოვი. დაწყებით სახალხო განათლებას ეხება და ადასტურებს, რომ ხარჯთ-აღრიცხვა ამ დარგში სხვებს აჭარბებს, მ-გრამ განვითარება ადგილობრივ თვითმართველობის უნარია, რომელიც, მიუხედავად თავის კონსერვატიზმისა, სახალხო განათლების საქმეში საკულტურო მოთხოვნილების თანაბრად მიდიოდა და სცდილობდა ყოველ-მხრით დაეკმაყოფილებინა. სამინისტრო მხოლოდ უბრალო მაყურებელი იყო. სკოლის გარეშე განათლების საქმეშიაც თუ რამ გაკეთებულა, ეგეც თვითმართველობის უნარია და არა სამინისტროსი. მესამე სათათბირო არ აკმაყოფილებდა სახალხო განათლების საჭიროებას. იმედი არ არის, რომ მეოთხე სათათბიროში მაინც სასურველად გადასწყდეს სახალხო განათლების საკითხი. დასასრულ ოროატორი კადეტების სახელით სათათბიროს მოუწოდებს უარჰყონ სახალხო განათლების სამინისტროს ცენტრალური დაწესებულებათა ხარჯი.

გურევიჩი აღნიშნავს, რომ რაკი ებრაელები სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯს დანარჩენ ქვეშევრდომებთან ერთნაირად ეწევიან, სახელმწიფო მოვალეა განათლების საჭიროება ყველა მოქალაქისა ერთნაირად დააკმაყოფილოს; დაწვრილებით ლაპარაკობს ებრაელების შევიწროების შესახებ.

ქენეზი **მაცკევიჩი** ვერა ჰხედავს, რომ სამინისტრო პოლონელთა, ლიტველეპის, ლატიშების, ბელორუსების, გერმანელების სკოლების გაუმჯობესებას სცდილობდეს, რისიც ამ ერებს თანასწორა უფლება აქვთ. მათ არამც თუ რუსულ სკოლას აძლევენ—ენით, ჭოროკრაშითა და მასწავლებელთა შემადგენლობით, არამედ საგანგებოთ რუსულს. 17—აპრილისა და 17—ოქტომბრის უმაღლესს აქტების შემდეგ გაეგონა ყველა ერს ნება აქვს სკოლებში ისწავლოს სამშობლო ენაზე და სამართო რჯული მშობლიურ ენაზე ისწავლებოდეს. მაინც უკანასკნელ დროს ემჩნევა, რომ მთავრობა სცდილობს შეამოკლოს პოლონურ ენის სწავლება, ჰზღუდავს სამართო სჯულს სწავლებას მშობლიურ ენაზე. მასწავლებლები და მოხელენი არჩევენ ბავშვის ეროვნებას, მიუხედავად მშობლების განცხადებისა.

მამა სტანისლავსკი სახალხო ნორმალურ განათლების საუკეთესო განვითარებისათვის საჭიროდ სცნობს სახალხო სკოლების ინსპექტორებად მეტი საპედაგოგიო ცოდნით აღჭურვილი და ზნეობრივის მხრივ ყოველად სანდო პირები ინიშნებოდეს, გაუმჯობესდეს სახალხო სკოლების მასწავლებელთა მდგომარეობა კანონის ფინანსიურ ნაწილის მალე განხორციელებით. თუ სახალხო სკოლებში სარწმუნოებრივ-ზნეობის საქმის უკეთესად დაყენება გვსურს, ხელმძღვანელობა სამღვთო სჯულის მასწავლებელ მღვდელს უნდა ჰაბარდეს. მაშინ სკოლა ნაციონალური იქნება, მართლ-მადიდებელი და რუსეთს პატიოსანსა და მორწმუნე მოქალაქეებს მისცემს, ერთგულთ მეფისა და სამშობლოსი.

ფირსოვი მე-2, გლეხი, სურვილს გამოსთქვამს, რომ მალე განხორციელდეს საყოველთაო პირველ-დაწყებითი სწავლის გეგმა, დაწესდეს ერთგვაროვნობა დაწყებითი სკოლებისა, დაწყებით სკოლებში პრაქტიკული ცნობები ისწავლებოდეს, სწავლება ბავშვებისა სამშობლო ენაზე იქმნეს, სწავლება ყველა სასწავლებლებში უფასო იყვეს და წოდების განურჩევლად იქმნენ მოსწავლენი მიღებულნი.

საერთო კამათი დასრულდა. მომხსენებელი **კოვალევსკი** ითხოვს სათათბიროს სამაუჯეტო კომისიის ხარჯთ-აღრიცხვა მიიღოს.

ნაწილობით ხარჯთაღრიცხვის კამათში მონაწილეობენ **მილიუკოვი, პურიშკევიჩი, ჩხენკელი, მ. ლენტოვსკი.** მიღებულ იქმნა 9 პარაგრაფი კომისიის ანგარიშით.

მიღებულ იქმნა სურვილი: ციმბირის ჯგუფისა—შემუშავდეს კანონ-პროექტი ტომსკის უნივერსიტეტში ყველა ფაკულტეტების დაარსების შესახებ, **გელოვანისა**—მალე შემუშავდეს კანონ-პროექტი კავკასიაში უნივერსიტეტის დაარსების შესახებ; **ჩიხაჩევისა**—ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეში უნივერსიტეტის დაარსების შესახებ, **ლევაშოვისა—კარაულოვის** შესწორებით; ხარჯი გადადდეს უნივერსიტეტის სამეურნეო ნაწილისთვის, მასწავლებელთ ჯამაგირები მოემატოს უნივერსიტეტებში და საკანონმდებლო დაწესებულებაში მალე იქმნეს წარმოდგენილი კანონ-პროექტი ახალი წესდებისა და შტატების დაწესება უნივერსიტეტებში და კანონ-პროექტი

ახალ შენობების აშენებისა უნივერსიტეტებისთვის; **ლელიუხინისა**—გაუმჯობესდეს შემადგენლობა მასწავლებელთა სკოლებში საპედაგოგიო სასწავლებლების სასწავლო წესების შეცვლით და არ შეიზღუდოს სამასწავლებლო კურსები; **ვორონკოვისა**—რიცხვი უმაღლესს დაწყებითი სკოლებისა საჭირო რიცხვამდის გადიდდეს.

ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა ხვალისთვის გადაიდო. შემდეგი სხდომა საღამოთია.

საღამოს დახურულ სხდომაზე **როძიანკოს** თავმჯდომარეობით სასწრაფოდ მიიღეს 10 კანონ-პროექტი საზღვაო და სამხედრო მინისტრებისგან შემოტანილი.

ღია სხდომაზე უკამათოდ მიიღეს ახალ გემების აშენების პროექტი.

მომხსენებელი **კოვალევსკი** ითხოვს 8 მილიონს დაწყებით სწავლისთვის. კომისია 10 მილიონს ითხოვს.

მანკოვი. ს. დ. აცხადებს, რომ სოც.-დემ. კენჭის ყრაში არ მონაწილეობენ. მინისტრის თანაშემწე **ტაუბე** ითხოვს იმ მასწავლებელთა რიცხვი, რომელთაც ხუთ წელიწადში ერთხელ უნდა ჯამაგირი მოემატოს, სამრევლო სკოლების მასწავლებელნიც შეტანილ - იქმნენ. (მარჯვნით ტაში).

ვორონკოვს ვერ გაუგია, თუ სახალხო განათლების სამინისტროს წარმომადგენელი რად იცავს სამრევლო სკოლების მასწავლებელთ, რომელთაც ეს პროექტი არ ეხება. როდესაც მართლმადიდებელ სარწმუნოების უწყება შემოიტანს სათანადო კანონ-პროექტს, მაშინ მოვიდეს სახალხო განათლების სამინისტროს წარმომადგენელი და დაიცვას პროექტი, ეხლა კი კომისიის რედაქციით უნდა მივიღოთ.

ნოვიკოვი. სრულებით უცნაური არ არის სამინისტროს წარმომადგენლისგან რომ გვესმის, თუ შეერთებული მთავრობა როგორ არ ივიწყებს საწყალ მშრომელ-მასწავლებლებს სამრევლო სკოლებისას, მაგრამ ძალიან კი უცნაურია ამ სიტყვების მოსმენა ამის წინააღმდეგ ყოფილ მასწავლებელ ვორონკოვისაგან.

ნაზარეთი ვორონკოვს უერთდება და ამბობს, რომ უადგილოა მინისტრის წარმომადგენლის მიერ სინოდის ხარჯთ-აღრიცხვის დაცვა. (ხმები მარჯვნით: სირცხვილია!)

თავმჯდომარე თავ. **ვოლკონსკი** ნაზარეთს სთხოვს წეს-რიგი დაიცვას.

ეპისკ. **ანატოლი** ამბობს, მინისტრის ამხანაგის წინააღმდეგ ლაპარაკი რად იცავს სამრევლო სკოლების ინტერესებსაო, ამტკიცებს, რომ სათათბიროში სამღვდელოების ყოფნა ზედმეტი არ არის, თორემ სამღვდელოების ინტერესები ხეირიანად არ იქმნება დაცული; ამიტომ წინადადებას იძლევა მიიღონ პროექტი, რომ სამრევლო სკოლების მასწავლებელთაც მოემატოს 5 წელიწადში ერთხელ ჯამაგირი.

მომხსენებელ **კოვალევსკის** წინადადებით კომისიის პროექტი მიიღეს.

მეშვიდე განყოფილების შესახებ მინისტრის თანაშემწე **ტაუბე** ლაპარაკობს და მოითხოვს, ეს მუხლი გამოიტოვოს, რადგან რუსულ სკოლების ხარჯთ-აღრიცხვა უკვე მიღებულია სათათბიროსა და საბჭოს მიერ და უმაღლესად დამტკიცებულია, ამიტომ მეშვიდე მუხლი გამოიტოვოს. მეშვიდე განყოფნილება უარყვეს, დანარჩენი უკამათოდ მიიღეს.

უკამათოდ მიიღეს 13—წვრილი კანონ-პროექტი.

შემდეგი სხდომა ხვალ არის.

ახალი ამბავი

ტფილისი

საბაღოსნო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ დღეს მუშტაიდის ბაღში დიდი სახალხო **სეირნობა** გაიმართება. ბაღში შესვლა უფასოა.

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა თავის ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად 9 ივნისს „მიმოზა“-ს ბაღში სეირნობასა ჰმართავს.

სოლოლაკის გვირაბი. ტფილისს ჩამოვიდა ბაქოდან ინჟენერი კ. ი. ხატისოვი, რომელსაც აღებული აქვს სოლოლაკის გვირაბის კონცესია. ბ-ნმა ხატისოვმა ქალაქის გამგეობას განუცხადა, მზად ვარ გვირაბის გაყვანას შევუდგე იმ პირობით, რომელიც ქალაქთან მაქვს დადებული, მხოლოდ მაცნობეთ, გვირაბი რა ზომისა უნდა იყოს, ორსაჟენიანი, თუ ხუთ-საჟენიანი.

ოლგას საბებიო ინსტიტუტი წელს 67 ქალმა გაათავა და ბებიობის მოწმობა მიიღო.

მებამბეობა. გუშინ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სასტატისტიკო ბიურო საგანგებო ფურცლებით შეეკითხა თავის კორესპონდებს, რა მდგომარეობაშია წელს მებამბეობა.

საბირჟო ცნობები. 5 ივნისს, ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 80 კ., აძლევენ—85 მან. 50 კაპ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა; აფასებენ—83 მან. 55 კ., აძლევენ—83 მ. 25 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—80 მან. 45 კ., აძლევენ—80 მან. და ტფილისის საკომერციო ბანკის აქციებისა: აფასებენ—350 მან., აძლევენ—340 მ.

საზოგადოებანი და კრებები

ქართულ დრამატიულ საზოგადოებაში. გამგეობამ უკვე დაასრულა მოლაპარაკება მომავალი სეზონის დასის უმთავრეს ძალებთან. რეჟისორებად მოწვეულნი არიან: მ. ქორიძე და ვ. შალიკაშვილი. მსახიობები,—ქალნი: ტ. აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, მ. მდივანი, ნ. ჩხეიძე და ა. ქიქოძე. ვაჟები: ვ. აბაშიძე, დ. აბდუშელი, ვ. გუნია, ი. ზარდალიშვილი, ა. იმედაშვილი, გ. იშხნელი, გ. კორიშელი, ვ. ალექსი-მესხიშვილი, კ. მესხი, დ. მგალობლიშვილი, ბ-ნი ყალაბეგიშვილი, შანშიევი, ნ. ციციშვილი და სხვანი.

ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში. საზოგადოების საბჭოს გადაწყვეტილი აქვს, წელს ჩვენის ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში სამეურნეო იარაღებისა, განსაკუთრებით გუთნების გამოცდა მოახდინოს. ამის გამო გუშინ ჟამბლუს (ბელგიაში) სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტმა ალ. თ. ორჯონიკიძემ საზოგადოების საბჭოში განცხადება შეიტანა. განცხადებაში იგი აღნიშნავს, რომ მთელს ევროპაში ამ ჟამად ხბარობენ ერთგვარ გუთანს, ეგრედ წოდებულს „ბარაბან დუბლ“ს, რომელიც მიწას საუკეთესოდა ჰხნავს და ჩვენებურ გუთანთან შედარებით ძალიან მცირე შრომასა და ხარჯს მოითხოვსო. ბ-ნს ორჯონიკიძეს იმედი აქვს, რომ გუთანი „ბარაბან დუბლ“ი სრულიად შესაფერისი გამოდგება ჩვენის ქვეყნისთვის, ამიტომ წინადადებას აძლევს საბჭოს, სხვა გუთნებთან ერთად ხსენებული გუთანიც გამოსცადონ წელსა. ა. ორჯონიკიძის განცხადებას საბჭო ამ დღეებში განიხილავს.

ქალაქის საბჭოს დღევანდელ კრებას 25 საკითხი აქვს განსახილველი, განსახილველ საგანთა სიის გარდა, ხმოსნებს დაეგზავნათ საგანგებო ბარათები, რომლითაც ქალაქის მოურავი დაბეჯითებით სთხოვს ხმოსნებს, დღეის კრებაზე აუცილებლად მოვიდნენ, რადგანაც განსახილველია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლის გადადებაც შემოდგომისთვის ყოვლად შეუძლებელია. დღეის კრების გარდა განზრახულია კიდევ ორი კრების მოწვევა.

თელავი

2 ივნისს წ. კ. საზ. თელავის განყოფილების სკოლაში გაიმართა წლიური აქტი სალიტერატურო განყოფილებით. სკოლის დარბაზი მშვენივრად მოეწყოთ ქართველ პოეტების სურათებით, გრეხილებით და ყვავილებით. წაკითხულ იქმნა ილია ჭავჭავაძის მოკლე ბიოგრაფია, რომლის შემდეგ პატარა მოსწავლენი კითხულობდნენ ლექსებს და ასრულებდნენ სიმღერებს, რამაც საზოგადოებაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. დასასრულ წ. კ. განყ. გამგეობამ წაიკითხა და კნ. სოფიო ედ. ვახვახიშვილისას მიართვა ძვირფას ყდაში გაკეთებული ადრესი 1500 მ. შემოწირულებისათვის, რომლითაც სტიპენდიები უნდა დაარსდეს: 1200 მ. %% თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლებში, ხოლო 300 მ. %% წ.-კ. თელავის სკოლაში.

დღიური

რა უნდა გვწამდეს

— ასე სიმწარით, ცხარე ცრემლით, მწვავი ნაღველით დასტირი ჩვენს სიბეჩავეს, დავრდომილობას; ვაებ და გოდებ, ზარივით მოსთქვამ ეხლანდელ არარაობისათვის; სტირი და მოსთქვამ და ხმა შენის ტირილისა გულის წამღებია, მეტად დამაღონებელი, მტანჯველი. ვესლიანად დასცინი საზოგადოების სისაწყლეს, ვაგლახობას, უგრძნობლობას, მაგრამ დღევანდელის განცდის გაღმა ხომ ხედავ მაინც რასმე, ვაებას იქით ხომ გრძნობ სიამეს, გოდებას იქით ხომ არის იმედი, წყდიადი ხომ უკუნეთი არაა და ბნელის სიღრმიდან ხომ გამოსჭვივის მკრთალი, ოდნავი, ნათელი?

— განთიადის? რისი, ვისი?

— შენი მხილება სიყვარულისაგანაა. გიყვარს და ამიტომ გძულს; აძაგებ, რადგან იგი შენი სათაყვანებელია; ზიზღით იხსენიებ, ვისაც ეტრფიალები, საშინელებას უწოდებ ცხოვრებას, მაგრამ არ გაურბიხარ ამ ცხოვრებას; გოდებ, მაგრამ გოდება შენი არაა უარყოფითი; იტანჯვი, ხოლო არა სასოწარკვეთილის ტანჯვით. რამდენად უფრო ძლიერია შენი სიყვარული, იმდენად უფრო დიდია სიძულვილი, კრულვა და რისხვა, ხოლო სამარისაკენ არ გვიხმობ, ძილისაკენ არ გვიწვევ, გულზე ხელების დაკრეფას არ გვასწავლი. მაგრამ მაინც, მაგრამ მაინც...

— მაგრამ რა? ხომ სავსებით ჩაგიხედნია ჩემს გულში?

— გიყვარს მამული სვე-უბედური, გიყვარს ერი დაცემული-წაქცეული. მაგრამ დედას უყვარს შვილი გლახაც, უსიტყვო, დაკუტებული, ავადმყოფი. მისი სიყვარულია შეუდარებელი, უსაზღვრო, წარუკვეთელი; მისი სუნთქვა შვილის სუნთქვაა, მისი მაჯის ცემა შვილის სისხლის მოძრაობაა, მისი ღიმილი—შვილის თვალების გამოშუქება. დედა ყოველის წუთით ცხოვრობს, იმედი ასულდგმულებს და საუკუნო დადუმებამდე მოუთმენლად მოელის განთიადს, რომელსაც ვერ იხილავს, მოელის აღდგომას, რომელსაც ვერ ეღირსება. შენი სიყვარული ხომ აგეთი არაა?

— სიტყვა არ დაგმთავრებია განაგრძე.

— გიყვარს და სიყვარულისთვის არა მსხვერპლს არ დაერიდები. გიყვარს საყვარელი მით უფრო, რაც უფრო საწყალია, საცოდავი, გატანჯული, მაგრამ ხომ არ შეიძლება, ტანჯვა იყოს მუდმივი საგანი სიყვარულისა. ტანჯვა აუტანელია და ხანგრძლივი მისი სტუმრობა ადამიანის ძალ-ღონეს აღემატება. ცხოვრება უარყოფაა ავადმყოფობის და მწუხარებას, იგი მიისწრაფვის სიხარულისკენ, სიამოვნებისკენ, ბედნიერებისკენ. გკითხავ და მითხარი, გადაჭრით, პირდაპირ, სრულის სინამდვილით: გრწამს ჩვენი ერის ბედნიერება, მისი მომავალი, გარდაუვალობა? თუ გრწამს, გრწამს იმიტომ, რომ გინდა, გსურს, გწადიან—თუ შენს რწმენას აქვს ობიექტიური საფუძვლები, მტკიცე, შეურყეველი? თუ გრწამს,—გრწამს ეს შენი რწმენა? გრწამს, რომ იგი ისევე აუცილებელია, როგორც რაიმე ბუნებრივი მოვლენა, სტიქიონი?

— ჩემთვის აგეთი კითხვა, წარმოიდგინე, სრულებითაც არ არსებობს. არ იფიქრო ისიც, რომ არ შემეძლოს გადაჭრილი პასუხი მოგცე შენს კითხვაზე. მაგრამ შენ არსებითად შემცდარი ხარ. თუ გინდა გაიგო ჩემი რწმენა, გეტყვი, რომ მრწამს ადამიანის სულის უკვდავება...

— არ მესმის, რას მეუბნები. რა მოსატანია აქ უკვდავება?

— ნუ გაფრთხობს ჩემი სიტყვების სარწმუნოებრივი ხასიათი. სინამდვილესთან მე უფრო ახლოს ვარ, ვიდრე შენ, რომელიც ეძიებ ჩვენის არსებობის საბუთს გარეშე ბუნებაში. შენ ფიქრობ, რომ ჩვენ ვიარსებებთ და ბედნიერებიც ვიქნებით იმდენად, რამდენად ეს ვისმესგან ან რამესგან არის დამოკიდებული. ჩემის ღრმა რწმენით კი, ჩვენ ვიქნებით, თუ ეს ჩვენ თვითონ გვინდა, ვიქნებით, რამდენხანსაც გვესურვება, და ისეთები, როგორსაც თვითონ ვინდომებთ. ჩვენს აწმყოს და ყოფადს თვით ვქმნით, ჩვენი სულია ჩვენი ცხოვრების შემომქმედი, სხვა არავინ, სხვა არაფერი.

— მერე შეჰქმნის კი? აქვს ძალა?

— შეჰქმნის, რადგან ჰსურს: მისი სურვილი—მისი ძალაა. მეტსაც გეტყვი: ჩემთვის, როგორც პიროვნებისათვის, ჩვეწი ერის მომავალს, როგორც საგანს ცხოვრებისას, არც აქვს პირველი და უმთავრესი მნიშვნელობა. საქართველო, ქართველი ერი, სიყვარული მისდამი, მუშაობა მისთვის—ეს ყოველივე იარაღია ჩემის პიროვნების გასაღრმავებლად, გასაძლიერებლად, ასამაღლებლად. თუ ვესწრაფი მშობელი ერის ბედნიერებას იმიტომ, რომ ეს მისწრაფება აუცილებელი პირობაა ჩემის პიროვნებისათვის, ეს მისწრაფება გზაა პიროვნების გამშვენიერებისაკენ, ეს ხიდია უკვდავების სამეფოსკენ. ჩემთვის უმთავრესი სინამდვილე თვით მე ვარ, მხოლოდ ამ მე-ს გალამაზებისკენ მივილტვი. საგანი ცხოვრებისა ჩვენი სულიერი [illegible] უმწერვალესამდე, მისი გაუკვდავება. ესაა ჩემი რწმენა და თუ გვიყვარს საკუთარი პიროვნება, გწადიან მისი ამაღლება, იგი აუცილებლივ შეურყევლად მიგვიწვევს ერის სიყვარულისკენ, ერის ბედნიერებისა და მომავალისკენ. მერწმუნე, როცა დადგება გახთიადი პიროვნების სიყვარულისა, მისი ამაღლების წყურვილისა, როცა გაიღვიძებს ნდომა სულის გაუკვდავებისა სიდიადით და სამშვენიერით, მაშინ ახლოა განთიადიც ერის ცხოვრებისაც, მაშინ უადგილო იქნება ყოველი შენი ეჭვი და შეკითხვა...

სიტყვა.

საუბარი დ. არაყიშვილთან

კვირას სახალხო სახლში გამართულ სალიტერატურო სამუსიკო დილას, რომელზედაც შესრულებული იყო ნ. სულხანიშვილის მუსიკალური ნაწარმოებნი, დაესწრო კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი. ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს სხვათა შორის კომპოზიტორმა შემდეგი აზრი გამოსთქვა ბ. სულხანიშვილის მუსიკის შესახებ:

უეჭველია ბ. სულხანიშვილის კომპოზიცია ფრიად სასიამოვნო მოვლენაა. ჩვენ სწორედ ასეთი ხასიათის ნაწარმოებები გვესაჭიროება. ნაწარმოებნი დაწერილია ფრიად ნიჭიერად. რაც ყველაზე უფრო სასიამოვნოა, ეს—ორიგინალობა და ხალხური კილოების საუცხოოდ დაცვა. მე მაქვს ასეთივე ხასიათის ნაწარმოება; მუსიკის ხალხური ხასიათისათვის ბ. სულხანიშვილს დიდი ყურადღება მიუქცევია, რისთვისაც მას საზოგადოება ძლიერ უნდა აფასებდეს. ხოროები მწყობრად არის შედგენილი და სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. რასაკვირველია ამ ნაწარმოებთ ტეხნიკური გასწორება ესაჭიროება, მაგრამ ეს არ არის ისე ძნელი. საჭიროა მისი ნაწარმოები დაიბეჭდოს და გამოიცეს. ამაში საზოგადოება უნდა დაეხმაროს. სამწუხაროდ ჩვენ საზოგადოებას ჯერ არა აქვს კარგად დაფასებული ბ. სულხანიშვილის ნიჭი, და მისი ნამუშავარი, თორემ, უეჭველია, მას არ დასტოვებდნენ ისეთ ცუდ მდგომარეობაში როგორც, თურმე, ეხლა იმყოფება. პირადად მე იმ აზრისა ვარ, რომ მაგას რომ თავიდანვე მიეღო კარგი მუსიკალური განათლება, ბევრის მოლოდინი შეგვეძლო. ეხლაც მისი ნამუშევარი ძვირფასად ღირს და ამიტომ ყოველი ჩვენგანი ვალდებულია შესაფერად დავაფასოდ იგი და მეტის ყურადღებით მოვეკიდოთ. დასასრულ კომპოზიტორი დაგვპირდა, რომ სულხანიშვილის მუსიკის შესახებ, როგორც სხვა კომპოზიტორების შესახებაც, დასწერს თავის აზრს წერილში, რომელსაც ამზადებს საერთოდ საქართველოში ყოფნით გამოწვეულ შთაბეჭდილების ასაწერად.

ევანგელეობა

„სევდის ბალს შეველ შენ ნაღონები:
მოკრეფად მსურდა ვარდის კონები!“

1.

ჩაყვითლებული კუზიანი კი იდგა დარეკილ ისართან! ძარღვიანი თითები გარდაეტეხა ერთმანეთზე და სევდიანის თვალით შეჰყურებდა ბატონიშვილს. სახტად დარჩა ოქროს ქოჩრიანი ჭაბუკი, სიტყვა ვერა სთქვა, ხმა ველარ ამოიღო. გადმოხტა ცხენიდან, ამოაძრო ისარი და ჩააგო კაპარჭშივე. მცირედ ხანს შეჰყურებდა იგი გონჯს, დარდისაგან გამშრალი და მემრე გაიღიმა მწარედ.

— ჩემი ბედიც შენა ყოფილხარ, შე საწყალო!—უთხრა ვაჟმა, შემოისვა ცხენზე და დაბრუნდა.

ნელის ნაბიჯით მოდიოდა ჭაბუკი: უნდოდა გზაზე შეჭლამებოდა, რომ არავის დაენახა მისი საცოლე. ღამე მივიდა სასახლეში. მზეთუნახავისათვის გამზადებულ დარბაზში დაბინავა დუხჭირი. მსახურები გაოცდნენ, როცა ნახეს გონჯი, მაგრამ კრინტს როგორ დასძრამდნენ: თუ ვინმე გაბედამდა აუგის თქმას, ენას მოჭკვეთდნენ ძირში.

— საწყალი ჭაბუკი! ვინ იცის, როგორ იტანჯებოდა.

— დარდით გულმოკლულ ვაჟს ძილი არ მოეკიდა; იწვა უძრავად და გაჰყურებდა ქალის სადგომს. ღამე რომ გატყდა, ვნახოთ ქალის ოთახი განათდა მსუბუქი რამ სინათლით. ნათელი იძროდა, მიდმოდიოდა; შეანათა ღია კარებში და თავს დაადგა ვაჟკაცს. იგი წამოდგა განცვიფრებული: ისეთი მზეთუნახავი ედგა წინ, რომ ქვეყანაზე მისი ბადალი არ მოიძებნებოდა. უნდოდა მოჰხვევოდა ტურფას, მაგრამ ქალმა შეაყენა იხ:

— ნუ მომეახლები! სამუდამოდ გავუბედურდებით, თუ დრომდინ შემეხე!

ჭაბუკს ძალიან უნდოდა ხელი ეხლო ამ სხივოსან არსებისათვის, რომ გაეგო, მის წინ მართლა ხორცშესხმული ქმნილება იდგა, თუ მოჩვენება, მაგრამ ქალის სევდიანმა ხმამ შეაყენა ის. იყივლა კიდეც მამალმა და ქალმა მსწრაფლ მიიღო წინანდელივე სახე. ცრემლმა ნაკადად გადმოხეთქა მახინჯს თვალთაგან და გატრიალდა გულ-დალახვრული თავის ოთახისკენ.

— ნეტა რად დაესაჯა ღმერთს ი საწყალი?

— რამე ცოდვა ექნებოდა და იმისთვის განუწესებდა სატანჯველს.

— მოძღვარმაც ეგრე გვითხრა იმ დღეს სკოლაში: ყველა უბედურება ცოდვისაგან წარმოსდგებაო,—სთქვა ავადმყოფმა და ამოიკვნესა.

— რა არის, შვილო? გულმტკივნეულად შეეკითხა გამდელი.

— ძალიან მტკივა წელი, ვერ დავძრულვარ. უეცრად რომ მეც კუზი ამომივიდეს და იმ მახინჯს დავემსგავსო, რაღა მეშველება.

— ღმერთმა დაგიფაროს! რა ცოდვა მიგიძღვის ანგელოსს?!. რეებს არ იტყვი! ექიმმა აკი გითხრა, ერთ კვირაზე ფეხზე დაგაყენებო.

2.

ეს იმედიანი სიტყვა ექიმმა გასამხნევებლად უთხრა პატარას, თორემ დაზიანებული ადგილის გასინჯვამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა მასზე: ხერხემალი ერთ ადგილას მეტად დაჟღლილი ჰქონდა და ეს ძალიან აფიქრებდა ექიმს. მაინც რა კეთილი დაეყრებოდა ორადლიან კედლიდან ჩამოვარდნილ ბალღს და მემრე ქვებზე დაცემულს. ახლა თითონაც უკვე მოზრდილი იყო ბაბუცა, მძიმე, გამთქვინებული. კედელკედელ დარბოდა, ფეხი აუცდა და ქვებში ჩაიჭეხა. გულშეღონებული შეიყვანეს სახლში. მართალია, ექიმის წამლობამ და კარგმა მოვლამ მალე გამოაბრუნეს ბალღი, მაგრამ ყრუ რამ ტკივილი ჩარჩა ხერხემალში, თითქო უკვნესოდა ძვალი. ეს ბაბუცა იყო ლოგინად, გამზდელი რომ მისჯდომოდა და ზღაპარს ეუბნებოდა.

თითქო გამართლდა კიდეც ექიმის სანუგეშო სიტყვა: ბავშვი ადგა ლოგინიდან. უშლიდნენ ადგომას, ეხვეწებოდნენ, კიდევ ერთი კვირა მაინც წოლილიყო, მაგრამ ვერ დააყენეს ლოგინში და უნებლიეთ დასტური დასცეს. გაიარა დრომ და თითქო მთლადაც გადიარა ავადმყოფობამ. ბავშვი ისევ გაიმართა წელში და დაიწყო დაუდეგარმა წინანდებურად ცხოვრება, როგორც რამ ჰეპელამ უზრუნველმა. ბოლოს ოჯახში კიდეც მიავიწყდათ ეს სახიფათო შემთხვევა.

მაგრამ სხეულის საშიშმა დაზიანებამ შემდეგში საზარლად იჩინა თავი: კუზი ააჩნდა ქალს და იწყო სიმახინჯემ ზრდა შეუფერხებლივ, თუმცა ნელა, თითქმის შეუმჩნევლად. დატრიალდნენ მშობლები, ათასნაირად უწამლეს, ყველაფერი სცადეს, არაფერი არ დაზოგეს, თითქმის გადგნენ საცხოვრებლიდან, მაგრამ ვეღარა უშველეს-რა: ავადმყოფობა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა არც მათ მეცადინეობას, არც მათ წუხილს; იგი შეუკავებლად იწევდა წინ და იზრდებოდა.

აგერ თექვსმეტი წლისა შეიქმნა ქალი, ათის წლისას კი ჰგვანდა ტანით. ხანს მაშინ შეამჩნევდი, თუ მის შეუფერებლად დაგრძელებულ ხელფეხს დააკვირდებოდი; სახეზედაც კი ეტყობოდა, რომ პატარა აღარ იყო: ბალღური იერი დაჰკარგოდა, დიდის მიეღო. ეს შეუფერებლობა ტანისა და სახის მეტყველობისა მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა ადამიანზე და ეს მით უფრო, რომ ქალს თვალებში ზავთი აჰღბეჭდოდა უძირო, ბედისადმი მდუმარება შეუსაზღვრელი.

3.

ამ საშინელმა სენმა პირველ ხანში დიდი მღელვარება გამოიწვია სახლში, ძლიერი დარდი და ბოროტი. ჩვეულებრივი რამ ავადმყოფობა რომ ყოფილი, თუნდაც სასტიკი და ულმობელი, უფრო მორჩილად დაჰხვდებოდნენ ჭირისუფალნი, როგორც საზოგადო მოვლენას ხანმოკლეს; მცირე დროს განმავლობაში ან იძლევოდა იგი ავადმყოფობა, ან სძლევდა და გათავდებოდა ესე თუ ისე. ეს სენი კი თავისებური იყო: იგი სასიკვდინოდ არ გასწირავდა ავადმყოფს, არც მოსპობას უქადდა მას, მაგრამ მორჩენის პირიც არა ჰქონდა; ნელ-ნელა სწურავდა სხეულს, ძლიერად ჰხრიდა მას, საზარელ დაღს ასვამდა ზედ და მთლად გამოუსადეგრადა ჰხდიდა მას ადამიანური არსებობისათვის.

— არ მოგსპობ, სულს არ ამოგხდი, დღესაც კი არ შიგმოკლებ, გარნა ჩაგიშავებ სიცოცხლეს: დაგამახინჯებ, ისეთ საზარლად გარდაგქმნი, პირს გარიდებდნენ ყველანი; გაგრიყამ ცხოვრების სასიხარულო დენიდან და შენს უბედურობას შენისავე თვალით გაყურებინებ!—ეუბნებოდა სენი ტყვე-ქმნილს და გესლიანის ღიმილით ჩაჰყურებდა თვალებში.

ჰხედავდა სენმოდებული, რამდენად შეუმართებელი იყო იმ ავადობის ძალა, როგორ უძლეველი და შეუკავებელი იყო მისი ბოროტი მისწრაფება და ჰღელავდა მარადჟამს; ღრმავდებოდა, უძირო ხდებოდა მისი სევდა; უაზროდ ღა მოსჩანდა მისი სიცოცხლე მიზან-გაცუდებული.

— რა დაგიშავე, ღმერთო, რა შეგცოდე ისეთი ჯერეთ უმანკომ?! რახან მომისპე სიხარული არსებობისა, რად არ ჩამიქრე ცნობა, რომ არ მემზირნა უკვე ცხოვრებისათვის, მკვდარ ჩემი თავისთვის?

ჰყვედრიდა ბაბუცა შემომქმედს, გარნა გამჩენელს სრულებით არ ესმოდა მისი გულის ტკივილი, მედიდურად მიისწრაფებდა სამყაროს შეუგნებელი, ხოლო უბედურ ქმნილებათა ვაება სხლტებოდა მის სიპ გულზე და უკვალოდ იკარგებოდა გარეშემოუწერელ სივრცეში.

ცოცხლივ იყო ბაბუცა დამარხული და იცოდა, რომ წყვდიად სამარიდან მისი ამომყვანი ძალა არ არსებობდა დუნიაზედ: სამუდამოდ უნდა წამებულიყო სულშეხუთვილი ბორგავდა ბნელ ხნარცვში ჩათხეული, პირს იხოკდა, სიპს აწყდებოდა და თან დარწმუნებული იყო, რომ ამაო-ღა იყო მისი ბრძოლა, უაზრო, უშედეგო.

დედმამაც იტანჯებოდა, რომ ჰხედამდა შვილის წამებას; გული უკვდებოდათ მათ, აღარავითარ ცდას არა ზოგავდნენ, აღარავითარ ხარჯს არ ერიდებოდნენ გზა-აბნეულნი; ჯიბე სავსე მიჰქონდათ იქითკენ, სადაც კი მცირე რამ ნუგეშის ხმას გაიგონებდნენ, ან იმედის შუქს შეამჩნევდნენ. მაინც კი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ზრუნვა ამაო იყო, ხარჯი უაზრო. რა უნდა ექმნათ, როცა გული ვერ შეჰრიგებოდა უბედურებას?! ეგონათ, სასწაული რამ იხსნიდა მათ შვილს, შემთხვევა რამ ბედნიერი აააცილებდა მათ ცოდვის მოხილვას: იგინიც გაუვალ საკანში იყვნენ მოწყვდეულნი და კედლებს აწყდებოდნენ იმედ-მიხდილნი.

— ბაბუცას ხომ ესე დამახინჯებულს ვუყურებ, სიცოცხლე მეწამლება! რა უნდა ქმნას საცოდავმა?! აგერ ოცი წლის ქალია, თოჯას კი ჰგავს ტანით; მთლად დამახინჯდა, გასაცოდავდა.

— სიმახინჯე ხომ სიმახინჯეა და დიდი უბედურება, მაგრამ იცი, კაცო, ამ ბოლოს დროს მღელვარება დაეშვა და რაღაც განუვალ სევდას მიეცა ქალი მძიმეს; მთლად ჩაეთხრო გული; თითქო რაღაც ავ ფიქრს ფიქრობს, ბედშავი: მეშინიან, არა აუტეხოს რა თავის თავს.

— რას ამბობ, ქალო?! მე კი მეგონა ბოლოს და ბოლოს ბედს შეურიდა მეთქი, ბეჩავი.

— შენგან არ მიკვირს! ქალი ეხლაა ჭასაკში, ეხლა უნდა დაჭკოდეს მას ეშხის ნიავი და, აბა, როგორ შეურიგდებოდა თავის უიღბლობას. ვაი თუ მაგის გარეგანი სიწყნარე შავიდღის მომასწავებელი იყოს ჩვენთვის.—თქვა ბაბუცას დედამ ბ მიეცა საგონებელს ლოდივით მძიმეს.

4.

მართლა და ძლიერ შეჰშძიმებოდა ბაბუცას ყოფა: სენი სულ იზრდებოდა, უფრო და უფრო ამახინჯებდა ქალს, ასახიჩრებდა; თანაც ბუნების ძალას არ ესპობდა, არც უბრძობდა, სხეულის მოთხოვნილებას არ უნელებდა. ქალი მოიწფა, სურვილებით აივსო, ეშხით აუფუვდა მკერდი, მისწრაფება გაუძლიერდა. ცხოვრების თანამგზავრს ეძებდა ჭასაკში მოსული, ტოლი კი არსადა სჩანდა, სურვილთა მოზიარე გამქრალიყო მისთვის: მოტრფიალედ გამოსადეგი ვაჟკაცები ზიზღით შეჰყურებდნენ მას, როგორც რამ მყვახს ლოგრწოიანს, ხოლო უკეთესნი სიბრალულს თუ დასძენდნენ მისადმი.

— სად არის, ღმერთო, შენი სამართალი, რომ ამისთანა მახინჯს ატარებ ქვეყანაზე, ხოლო ბევრ მშვენიერს უსპობ სიცოცხლეს?! მ.ჰკვეთე მისი არსება, რომ შეურაცხყოფილ არ იყოს მასში სახება შენი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კახეთი"-ს საზოგადოებაში

(შემდეგი *)

თავ **ი. ვაჩნაძე,** საზოგადოდ მდგომარეობა ასეთია. წინედ ბაქოში ზარალი დიდი იყო. ეხლა კი თითქმის განახევრდა და თანდათან კლებულობს, ასხაბათშიც ზარალმა ძლიერ იკლო. ტაშკენტში კი 3560 მანეთი მოგება იყო. საერთოდ განყოფილებების საქმე წინ მიდის.

თავ. დ. ჯორჯაძე. სურათი ცოტათი იცვლება, ზარალი ცოტავდება. მაგრამ ერთი რამ გაუგებარია. მაგალითად ბაქოს ზარალის მიზეზები ბევრი იყო. ტაშკენტში და ასხაბ დში კი თითქმის ერთი და იგივე მდგომარეობა იყო ბაზარის შესახებ და ამ დროს კი ასხაბადს დიდი წაგება აქვს. რით აიხსნება ეს?

თავ. ნ. აბაშიძე განმარტავს, რომ ფრახტის სიძვირის გამო ტაშკენტში მოგება ვედროზე 50 კაპეიკით მეტი აქვს, ვიდრე ასხაბადში.

თავ. ლ. ვაჩნაძე. საკითხი სწორედ არის დასმული. გამგეობას ბევრჯელ ჰქონდა ამის შესახებ სჯა-ბაასი, მაგრამ გარკვეული აზრი ვერ გამოიტანა.

გ. ქიქოძე. ტაშკენტი ასხაბადის ფილიალურ განყოფილება უნდა ყოფილიყო და აქ კი ვხედავთ, რომ ღვინო უკან მიდის ტაშკენტიდან ასხაბადში.

თავ. ვ. ვაჩნაძე. განყოფილებების დანიშნულება ის არის, რომ საზოგადოების ღვინოებს სახელი ვაუთქვან- ამას განყოფილებები პირნათლად უნდა ასრულებდნენ, მაგრამ საქმე კარგად ვერ არის დაყენებული. მე ვყოფილვარ სხვა და სხვა ქალაქების განყოფილებებში და უნდა ვსთქვა, ერთ-ერთ განყოფილებაში ყალბი ღვინო ჰქონდათ, მეორეალაგას კი საეჭვო. შეიძლება მე ვსცდებოდე, მაგრამ ეს მხარე ძლიერ საყურადღებოა. ბაქოში ჩვენ საუკეთესო ღვინოებს ვგზავნით, მაგრამ იქ სხვა ფირმა კონკურენციას ეწევა. საჭიროა გამგეებად ძლიერ მოხერხებულ კაცების ყოლა. მაგრამ საჭიროა აგრედვე მკაცრი კანტროლი, ღვინის კარგი მცოდნე, რომელმაც უნდა იაროს, უეცრად მივიდეს და განყოფილებებში ღვინოები შეამოწმოს.

თავ. **ლ. ვაჩნაძე.** ყარსში ტგუმბრში ჩვენ განყოფილებები არა გვაქვს და ადვილი შესაძლებელია შერეულ ღვინოებსა ჰყიდნენ, თუმცა ჩვენ ამის წინააღმდეგ ვიღებთ ზომებს. ჩვენს განყოფილებებში შეიძლება სხვა ნაკლი იყოს, მაგრამ ღვინის ხარისხის შესახებ არავითარი ეჭვი არ შეგვიძლიან ვიქონიოთ.

რ. ყარალაშვილი. თუ განყოფილებებში ასეთი ბოროტმოქმედება შესაძლოა, მაშინ შეიძლება უკეთესი იყოს, რომ გამგეებად წევრები და ჩვენი ამხანაგები იყვნენ, რათა ფირმას სახელი არ გაუტეხონ.

თავ. **დ. ფავლენიშვილი** ადარებს წარსულ წლების ანგარიშებს წლევანდელ ანგარიშებთან და ამოწმებს, რომ ის ფული, რომელიც საზოგადოებამ თავად-აზნაურობისაგან მიიღო, საქმეს მოჰხმარდა.

ანგარიშები ერთხმად იქმნა დამტკიცებული. შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით კრებამ დაადგინა: გამოირიცხოს ის წევრები, რომელთაც ხუთი წლის განმავლობაში საზოგადოებისათვის ღვინო არ ჩაუბარებიათ.

თავმჯდომარისავე წინადადებით ხარჯთაღრიცხვის განხილვა კრებამ ბოლოსათვის გადასდო და შეუდგა დანარჩენ საკითხების განხილვას.

თავმჯდომარე. შედგენილია სია ახალი წევრებისა, რომელიც ჯერ საზოგადო კრების მიერ არ არიან მიღებულნი. ზოგიერთთაგან საზოგადოებას ღვინო უკვე მიუღია. გადასაწყვეტია საკითხი, ჩაირიცხონ ისინი წევრებად და ნება დაერთოთ აქ მონაწილეობის მიღებისა თუ არა?

ახალი წევრების სიას კითხულობენ. ბევრი დამსწრე იმ გარემოებაზე უთითებს, რომ ბევრნი ჩაწერილთაგანნი თითონ ყიდულობენ ღვინოს და მათი წევრად მიღება შეუძლებელია.

თავ. **ლ. ვაჩნაძე,** ჩვენ მათ ხელწერილები ჩამოვართვათ, თუ საზოგადოების მოთხოვნილებას არ დაიკმაყოფილებენ, გამორიცხული იქნებიან.

გ. რცხილაძე. გამგეობის წინადადების მიღება შეუძლებელია, რადგან საზოგადოების ჩარჩების ხელში ჩაგდება დაღუპვა იქნება. ყოველი ჩაწერილი წევრი მივიღოთ, რომელსაც ვიცნობთ, შემდეგ კი დანარჩენი გავცხრილოთ.

თავ. **დ. ჯორჯაძე,** ამ აზრს არ ეთანხმება. თუ კი მამულის თანაბარი ღვინო ჩაგაბარათ, რა გაქვთ ამის საწინააღმდეგო. რასაკვირველია, ჩარჩების წინააღმდეგი უნდა იყოს საზოგადოება, მაგრამ ეს ყველას არ ეხება, ვინც ჰყიდულობს ღვინოს.

თავ. **ვ. ვაჩნაძე,** ეს, რასაკვირველია. გამოირკვევა ვინ არის ჩარჩი, მაგრამ აქ მეორე ფრიად საყურადღებო საკითხი სდგება. თქვენ შემოგემატათ ახალი ელემენტი— გლეხობა. მათ შორის არიან ასეთნიც, რომელთაც შეუძლიანთ ერთხელობაზე გაავსონ თქვენი სარდაფები, საზოგადოებას კი განა აქვს ისეთი თანხები, რომ მათ მაშინვე მისცენ ფული?

გ. რცხილაძე. ამისი შიში არ უნდა გვქონდეს. კახურ ღვინოს ბაზარი მუდამ ექნება, მით უმეტეს მათი გასასტუმრებელი ფულიც იქნება. თუ კი საქონელი გვექნება, ყველა ბანკის კარიც ღია იქნება საზოგადოებისათვის. ჩვენ აქამდე იმის ღონის ძიებაში ვართ, თუ როგორ გავადიდოთ ღვინის რაოდენობა, რადგან ღვინო არა გვყოფნის. ეხლა კი ამის შეძლება გვაქვს, ჩვენვე გვეხვეწებიან ეა არავითარი საფუძველი არა გვაქვს, არ მივიღოთ ისინი. მე ვამბობდი მხოლოდ იმ მსურველებზე, რომელნიც ღვინოს იაფად ჰყიდულობენ და ჩვენ კი ძვირად გვასყიდებენ. ჩარჩების წინააღმდეგ, რასაკვირველია, ყველანი იქნებიან.

(დასასრული იქნება)

ქუთაისის სათ.-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება

2—3 ივნისი.

ორი დღე რწმუნებულთა კრებამ კვლავ მოანდომა ზედამხედველი კომიტეტის შეთანხმების განხილვას გამგეობის მოქმედების შესახებ. 3 ივნისს ერთი შენიშვნის გარდა ყველა განიხილა კრებამ, რომელმაც უმეტესი ნაწილი შენიშვნებისა დაადასტურა, ან გადასცა განსახილველად ზედამხედველი კომიტეტისა და გამგეობის შეერთებულ კრებას. უკანასკნელ შენიშვნას ზედამხედველ კომიტეტისას მოსამსახურეთა ავანსების შესახებ კრება განიხილავს 4 ამ თვეს და მერე გადავა საპროგრამო სხვა კითხვების განხილვაზე.

3 ივნისს კრების გათავებისას გამგეობის თავმჯდომარე თ-დი მექი ფალავა კვლავ შეეხო საზოგადოდ ბანკის საქმის გაუმჯობესებას და ვრცელი, დასაბუთებული სიტყვა წარმოსთქვა. მან აღნიშნა, რომ სამის წლის განმავლობაში მოწესრიგდა ბანკზე დარჩენილი მამულების საქმე მათი განაღდებითა და ამ მამულებზე ბანკის მიერ დახარჯული ფულის გაბათილებით; ამავე სამი წლის განმავლობაში გაიცა 7 მილიონის სესხი; ამნაირად გაცემულ სესხის რაოდენობამ თითქმის ერთიორად იმატა; მოწესრიგდა, მართვა-გამგეობის საქმე, ბუღჰალტერია და საქმის წარმოება. ახლად დაგირავებულ მამულებს ისეთი სიფრთხილით ღებულობს ბანკი, რომ არც ერთი მათგანი არ დარჩენია ბანკს და სხვა.

თ-დი მექი ფალავას სიტყვას მოჰყვა სხვებისაც: თ-დმა ნ. თავდგირიძემ, ალ. კრინიკაძემ, თ-დ ს. მიქელაძემ, კ. ჩიკვაიძემ და სხ. ყველამ აღნიშნა ის გარემოება, რომ წინანდელთან შედარებით, ბანკის მდგომარეობა თვალ-საჩინოდ გაუმჯობესებულია ბანკის რწმუნებულთა კრების და გამგე ორგანოების მეოხებით; ხოლო ერთი ნაწილი ორატორებისა, სახელდობრ თ-დი ნ. ნიჟარაძე, თ-დი სოლომონ მიქელაძე იმ აზრისანი არიან, რომ გამგეობამ შესაფერი ღონისძიება არ მიიღო ბანკის მოქმედების რაიონის გასაფართოვებლად და აგრეთვე მისთვის, რომ გირავნობის ფურცლების კურსი ნორმაში ჩამდგარიყო და თან მათი ღირებულება, როგორც დასაგირავებელი საგნისა, იმდენივე ყოფილიყო, როგორც ტფილისის ბანკის გირავნობის ფურცლებს ჰქონდათ და აქვთ.

კერძოდ ბ-მა კრინიკამ სთქვა: თუ ბანკი გაუმჯობესების გზას დაადგა ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენ, რწმუნებულნი, კრიჭაში ვუდექით გამგეობას, ყოველ შეცდომაზე ვუთითებდით, არაფერსა ვტოვებდით უყურადღებოდ და როცა ჩვენთან ერთად ჩვენგანვე არჩეული საკონტროლო ორგანო ფხიზლად ეკიდებოდა თავის მოვალეობას. ამიტომ მარტო გამგეობას ვერ მივაწერთ ბანკის გაუმჯობესებას. ამას იქითაც ფხიზლად უნდა ვიყვნეთ ყველა და, ეჭვი არ არის, ჩვენი დაწესებულება დამკვიდრდება და თავის მიზანსაც მიაღწევსო.

თ-დი მექი ფალავა. როცა ბანკის საქმეების გაუმჯობესობაზე ვლაპარაკობდი, მე სრულებითაც ის არ მქონდა სახეში, რომ ყველაფერი მარტო გამგეობის მეოხებით მოხდა—პირიქით, ამ საქმეში ყველა ერთსულად მოქმედებდა და საყვედურით მივმართე ზედამხედველ კომიტეტს, არა იმისთვის, რომ ჩვენ, გამგეობას, ბარაქალა არ გვითხრა, არამედ იმისთვის, რომ საკანტროლო ორგანოს მიერ აღნიშნულ ფაქტს ბანკის საქმეთა გაუმჯობესების შესახებ მნიშვნელობა აქვს ჩვენი გირავნობის ფურცლის კურსის აწევ-დაწევაზეო. კერძოდ, გირავნობის ფურცლების კურსის შესახებ თ-მა ფალავამ ის აღნიშნა, რომ ამ საგანზე შუამდგომლობის აღძვრა ან მეცადინეობა უნაყოფო იყო, ვიდრე ბანკის საქმეები გაუმჯობესების გზას არ დაადგა და ბალანსი არ გაიწმინდა სხვა და სხვა ზარალისაგან; ახლა მარჯვე დრო გვაქვს და ამიტომ მეცადინეობა არ უნდა დავაკლოთ, რომ ამ მხრითაც მოვაწესრიგოთ საქმეო.

ამით დამთავრდა 3 ივნისის კრება. მაგრამ ეს ანგარიში სრული არ იქნება თუ არ აღვნიშნე, რომ ბანკის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ფინანსთა მინისტრის რწმუნებულმა, რომელმაც სიამოვნებით აღნიშნა, რომ ბანკის მდგომარეობა შედარებით იმასთან, რაც 3 წლის წინად იყო, საგრძნობლად უკეთესია და არ გაივლის დიდი ხანი, ბანკი კვლავ შეუდგება თავისი პირდაპირი და დიდი მოვალეობის შესრულებასო.

მუშათა ცხოვრება

◆ მოსკოვში გაიფიცნენ „ნევის ამხანაგობის" სანთლის ქარხნის მუშები, რიცხვით 450 კაცი. წარდგენილი მოთხოვნილებანი განსაკუთრებით ეკონომიური ხასიათისაა: ხელფასის მომატება, სამუშაო დღის შემცირება, უქმეების წინა დღით მუშაობის ადრე გათავება და სხვ. ქარხნის ადმინისტრაციამ უარი სთქვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ჯ ამასთანავე გამოუცხადა მუშებს: თუ ორი დღის განმავლობაში მუშაობას არ განაახლებთ, ყველას დაგითხოვთ და თქვენს ადგილზე ახლებს მივიღებთო.

◆ პეტერბურგში სესტრორეცკის იარაღის ქარხანაში მუშები გაიფიცნენ. გაფიცვის მიზეზი ის იყო, რომ ქირის აღების დროს მუშებს გამოურიცხეს „დაბრაკული" ნამუშევარის ფასი.

◆ ლიტოგრაფიის ქარხნის პატრონმა ივანოვმა მოლაპარაკება გამართა გაფიცულ მუშებთან, მაგრამ ვერას გახდა. გაფიცვა ისევ გრძელდება.

◆ „პალის" თუჯის ქარხნის ადმინისტრაციამ 29 მაისს განცხადება გააკრა ქარხანაში, სადაც ნათქვამია, რომ ყველა გაფიცული მუშა დათხოვნილია და ქარხანაც რამდენიმე ხნით იხურება.

◆ 28 მაისს „ახალი ლესნერის" ქარხნის გაფიცულ მუშებს საზოგადო კრება ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ გაფიცვა აგერ მეორე თვეს გრძელდება, მუშებმა დაადგინეს: განვაგრძოთ გაფიცვა, სანამ ყველა მოთხოვნილებას არ დაგვიკმაყოფილებენ.

◆ რადგან ახლო მომავალში უნდა გაიხსნას პრუსიის ახალი ლანდტაგი, ამიტომ გერმანელმა მუშებმა კრება გამართეს, რომელზედაც რეიხსტაგის დეპუტატმა ფრანკმა მოითხოვა საყოველთაო გაფიცვის გამართვა, რათა პრუსიის მთავრობა აიძულონ საარჩევნო უფლების შეცვლა. კრებას მრავალი პოლიტიკური მოღვაწე დაესწრო.

◆ ვარშავაში მეჩექმეთა გაფიცვა თან და თან ძლიერდება: დღეს გაფიცულია ოცი ათასამდე კაცი.

◆ იაროსლავში რამდენიმე დღეა, გაფიცულნი არიან დუნაევის მემკვიდრეთა წუმწუმის ფაბრიკის მუშები. მათ წარადგინეს ეკონომიური მოთხოვნილებანი. ფაბრიკაში ათას ხუთასამდე კაცი მუშაობს.

◆ ამ ჟამად პეტერბურგში მოწვეულია პიროგოვის სახელობის ექიმთა კრება, რომელზედაც განხილული იყო, სხვათა შორის, რამდენიმე მოხსენება მუშათა მდგომარეობის შესახებ. საფაბრიკო მედიცინის სექციას ლიაშჩენკომ წარუდგინა მოხსენება იმის შესახებ, თუ რამდენად მძიმეა მუშაობა მაღაროებში და წინადადება მისცა კრებას, მოითხოვოს: 1) რვა საათის სამუშაო დღის შემოღება, 2) მუშების ორგანიზაციის სრული თავისუფლება, 3) საშუალებათა გამოძებნა ნახშირის მტვერთან საბრძოლველად მაღაროებში.—ასტრახანმა და მოგულმა წაიკითხეს მოხსენებანი მუშათა დაშავების შესახებ ჩითეულობის ფაბრიკებში. მომხსენებლებმა ასწერეს მუშაობის საშინელი პირობები: დახშული ბინა, მაღალი ტემპერატურა, მანქანების სიმრავლე და მუდამ ფეხზე დგომა, რის გამოც მუშების დაშავება ძლიერ ხშირია ჩითეულობის ფაბრიკებშიო. საჭიროა მუშებმა ისწავლონ გაფრთხილების ზომები და თვითონ ფაბრიკის პატრონებმაც გასწიონ ხარჯი ათასნაირ ხიფათის თავიდან ასაშორებლად.

რუსეთი

ხმები სახ. სათათბიროს დათხოვნის შესახებ.

იმ ხმების შესახებ, რომელიც მოსკოვში დადიოდა, თითქოს პრემიერ-მინისტრისთვის უნდოდათ წარედგინათ სახ. სათათბიროს დათხოვნის პეტიციაო, გაზ. „დენ"ი შემდეგს იტყობინება: „როდესაც ვ. კოკოვცევამდე მიაღწია ასეთმა ხმამ, მან მიიხმო თავისთან მოსკოვის გუბერნიის ერთი გამოჩენილი თავადთაგანი და დიდხანს ესაუბრა მას. ამბობენ, კოკოვცევმა ცხადად აგრძნობინა ამ თავადს, რომ სანამ იგი, კოკოვცევი, სათავეში უდგას მთავრობას, ისეთი აქტი, როგორც საკანონმდებლო დაწესებულების გაუქმება, არაოდეს არ განხორციელდებაო. ამ დღესვე პრემიერ-მინისტრმა უწყებების დაგზავნით აცნობა ყველა მინისტრს, რომ 30 მაისს პეტერბურგში დანიშნულია მინისტრთა საბჭოს საგანგებო სხდომაო. ოფიციალურად სხდომის საგნად უწყებაში აღნიშნული იყო „პოლიციის რეფორმის კანონ-პროექტი". საქმის მცოდნე პირები ამბობენ, რომ განზრახულ პეტიციაში, სხვათა შორის, მოქმედების ასეთი პროგრამა იყო მოხსენებულიო: პეტერბურგში გამოცხადდება საგანგებო დაცვის წესები, იმ განსაკუთრებული მიზნით, რომ ერთბაშად დაჰხურონ ყველა „რევოლუციონური" გაზეთი. მთავრობის სათავეში დასადგომად ნავარაუდევი ყოფილა მაკლაკოვი. სახ. სათათბიროს დათხოვნა, ჯერ-ჯერობით, განზრახული ყოფილა მხოლოდ სამი დღით, რათა ძირითადი კანონების 87 მუხლის ძალით კანონად ექციათ ბეჭდვითი სიტყვის კანონ-პროექტი; ამასთანავე მოხსენებული იყო, თურმე, რომ ასეთმა „ხერხმა" მშვენიერი ნაყოფი გამოიღო პ. სტოლიპინის დროსაო. სახ. სათათბიროში ამ ბოლო დროს მემარჯვენეთა კოკოვცევის წინააღმდეგ ამხედრების შესახებ შემდეგ საინტერესო ცნობებს გადმოგვცემენ: სახალხო განათლების სამინ. ხარჯთაღრიცხვის განხილვის წინა დღეს მემარჯვენეებს რამდენიმე კრება ჰქონიათ, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ მემარჯვენეთა ბელადები დასწრებიან—ვ. პურიშკევიჩი, ბარონ

. ...

— რას ემართლები, კაცო?! იცხოვროს ქვეყანაზე მაგ საკოდავმაც, ისუნთქოს, მზის სხივზე გაიხაროს: ქვეყანა დიდია, ყველას დაიტევს, ცოტა უსახო ქვეძროში თუ ნადირი დაიარება დედამიწის ზურგზე! დეე, ეგეც ხალხში იყოს, როგორც რამ ბნელი სინათლეში. ან რადა გგონია სახება ღვთისა მხოლოდ სხეულის აღნაქვსში იყოს აღბეჭდილი? რა იცი, რომ სული ღვთაებური არა აქვს მა ბეჩავს?

— სული, სული! ხელმოუკიდებელია იგი, უხილავი. სინამ მას მიაგნებ, ხორცი გიდგა თვალ წინ, სხეული გხვდება ხელში ნივთიერს ხატება ღვთისა ხორცში უნდა იყოს ჩასახული, ტანში ჩაქსოვილი! შემოქმედი ყოვლად სრულია ყოველმხრივ, და მისი გარეგანი მხარეც ამწიკვლოა სიმშვენიერით სრული; იგი მისი განუსაზღვრელი მშვენება უნდა გამოკრთებოდეს მის ხატებაში. ტყუილა კი არა სცემდნენ თაყვანს ღმერთს სიმშვენივრისას! განა ეხლა კი ადამიანი მუხლს არ იდრეკს მშვენიერთა ხელმწიფის წინაშე, გუნდრუკს არ უკმევს მას, ოქროს არ სწირავს, რომ ღირს იქმნას ეახლოს მას, ემთხვიოს მოწიწებით?! ან საიდან ექნება ამისთანა მახინჯს სული მშვენიერი, როდესაც იგი უთუოდ გამსქვალული უნდა იყოს მოძმისადმი შურით, ხვედრისადმი უმადურებით, შემოქმედებისადმი გმობით?

— შენ გნდომებია აღვადგინოთ თაყვანისცემა სილამაზისა, შევსწირავდეთ ღმერთს სიმშვენიერისა.

— უნდა თაყვანსვსცემდეთ სიმშვენიერეს, ვუღაღადებდეთ მას და შევსწირვიდეთ! მშვენება იგივე ნათელია შენივთებული, ხორცქმნილი და კაცთა სანუგეშოდ მოვლინებული ამ წუვდიად ქვეყანაში; იგი ნათელია თვით საუკუნო ნათელისაგან გამოსული და ჩვენდა სალხენად წარმოგზავნილი. სიმშვენივრის თაყვანისცემა და მისადმი მისწრაფება ერთ გზათაგანია კაცთა ნათესავის გაუმჯობესობისა და ბედნიერებისა: ამრავლე მშვენიერება და გაუმჯობესდება კაცთა მოდგმა, გაუნათდება არსებობის შარავანდეთი, მიემატება სიამე; ამრავლე სიდუხჭირე და ჩამოეცლება მას იგი ნათელი, რომელი გარს შემოარტყა მას გამჩენელმა, და ჩაბნელდება მისი ყოფა. სიმშვენივრესვე შეჰხარის და ეტრფის ყოველივე სულდგმული, მისკენვე მიისწრაფის მთელი არსი, რომ განსპეტაკდეს, ემსგავსოს, დაუახლოვდეს და შეუერთდეს შემოქმედს, რომელი არს თვით მშვენება სამარადისო.

— მაინც ხომ ორგვარია მშვენიერება: სიმშვენივრე ნივთიერი და სულიერი.

— და ყოველგან და ყოველთვის სათაყვანებელია, სადაც და როდესაც უნდა გამოკრთეს იგი. ეს კი, ერთი შეხედე, უარყოფაა ყოველისავე მშვენიერებისა, შეურაცხყოფაა მისი და მხოლოდ დუხჭირთა მეჯლის'ში უნდა ჰქონდეს მას ადგილი. არა მჯერა მაგის სულიც სპეტაკი იყოს და უმწიკვლო: ხორცის სიავეს, აკი გითხარი, უნდა აღეზარდა მაგაში და განევითარებინა სულის სიბნელე.

— სასტიკ სიტყვას ამბობ! ხორცის სიმახინჯეს ყოველთვის არ მოსდევს სულის სიავე.

— ხშირად სასტიკია ჭეშმარიტება და მკვეთრი, როგორც ხმალი ფხაასხმული.

5.

ბაბოს ბევრჯელ მოუკრავს ყური ამგვარ ლაპარაკისთვის და გული მოჰკვდომია, თვალცრემლიანი დაბრუნებულა შინ, გამოსცლია ტოლსწორის გატაცებულ მხიარულებას.

ახ, რა ბედნიერნი იყვნენ ის ბუნების სიყვარულის შვილნი, მისგან წყალობა დადევნებულნი, სიცოცხლის ეშხით აღსავსენი, ცხოვრებისათვის შესაბამად ნაგებ-ნაკვთნი! ნეტარობდნენ ისინი მათდამი მინიჭებულ სიცოცხლით, სინათლეს შეჰხაროდნენ ბედნიერნი, დაჰფარფატებდნენ პეპელებივით, თავს ევლებოდნენ ერთმანეთს. იმ წუთის სიამოვნების გარეშე მათ აღარა ახსოვთ რა, არც რა საზრუნველი აქვთ უდარდელთ. ბაბუცას კი არ შეუძლიან მათთან სიამე თუ ნავარდი: მას წყევა სდევს თან განუყრელი, იგი წყევა ზედა აქვს მას შეხორცებული და საზარლად ჩაჯირჯვებული; იგი ნასახი უმსგავსი საბრალოდა ჰხდის ქალს, ყველას თვალში შესაზარად.

ადამიანურ ცხოვრებისაგან გარიყული იყო ბაბუცა და უხერხულიც გამოდიოდა მისი ყოფა კაცთა შორის: მათ არ შეეძლოთ თვალი აეშორებინათ უსახოსათვის და არ დაემცირებინათ იგი საქმით თუ სიტყვით, არ დაეჩაგრათ. მასთან, მართალია, თავდაჭერით იქცეოდნენ, ზრდილობა ყველას არ აძლევდა ნებას პირში დაეცინა ხინჯიანისთვის, მაგრამ ქალი ძალიან მგრძნობიარე შეიქმნა თავის თავის შესახებ: ხმის უბრალო მიმოხვრაში თუ წამიერ შეხედვაშიც კი ამჩნევდა თავის დამცირებას და ისარ ნაკრავივით შეიკუმშებოდა, უკუდგებოდა. თანაც სულ უნდა ჰხსომებოდა თავისი სიმახინჯე, მუდამ ფრთხილად უნდა ყოფილიყო და მორიდებით, თორემ ადამიანის ბოროტ გულს მცირე მიზეზიც ეყოფოდა გაეგლიჯა ზრდილობის თხელი პირბადე და რაიმე გესლიანი სიტყვით ან მოძრაობით ეგრძნობინებინა მისთვის მისი დამდაბლებული ყოფა და შესაფერი ადგილი. მარად მოლოდინი დამცირებისა, ყოველდამიერი დარდი თავის სახიჩრობაზე, ყოველწუთიერი სიფრთხილე, ...

ბა ჩაქოლვილი იყო, სიხარული ჩაშავბნელებული. იგი უბედურება აშთობდა ქალის სულიერ არსებას, გადუვალ საზღვარს უდებდა მის ხორციელ ლტოლვილებასაც, გულქვავად აიწროებდა მორთულ მის ბუნებას, როგორც რამ მუხრუჭი უტეხი მძლავრის მარჯვენით მოკეცილი.

— არა აქვს ჩემს ტანჯვას დასასრული და ბოლო ჩემს წამებას! მხოლოდ სიკვდილი მომხსნის მე ამ უგვან და მძიმე ტვირთს, რომლით დამტვირთა უსამართლო ბედისწერამ!—ღელავდა ქალი.

გარედან კი ისე ცხადად არ მოჩანდა ის ბოროტებით გაჟღენთილი ღრუბელი, რომელიც შავად ჩამოწოლილიყო ბაბუცაანთ ოჯახში და სულს უხუთამდა ყველას. სიცოცხლე შეუფერხებლივ მიმდინარეობდა, ზღვა ცხოვრებისა ტალღას ტალღაზედ მიაქანებდა, ხოლო მის ძლავრს და შეუყენებელ დენას ნებით თუ უნებლიეთ ასდევდა ბაბუცაანთ სახლიც, როგორც რამ ნაფოტი მსუბუქ ტალღის ფაფარზედ მოქანავე. აქაც ჩვეულებრივ მისდევდნენ ერთმანეთს დღე სადაგი თუ სასწაული, ლხინი თუ ჭირი, მეგობრობა და ტრობა, ურვა და ზრუნვა თუ სიხარული; ყოველგვარი მიმოსვლა თუ შეგუება სიცოცხლისა, ღელვა თუ სიწყნარე მისი.

ბაბუცასაც მიაქანებდა ცხოვრების ტალღა გაკვალილი გზით, დარდი არა ჰქონდა გულცივს, რა ხდებოდა ძის გატანჯულ სულში: ივსებოდა ქალი, მსხვილდებოდა, იძეკებოდა, მწიფდებოდა და ისევე ძლიერ ივსებოდა მისი ტანი ბუნებრივი ლტოლვილებით, როგორც უხინჯო. აქ ხშირად ავიწყდებოდა ქალს, რომ იგი კაცთ არამსგავსი იყო, ცხოვრებისაგან განრისხულ-უარყოფილი, დაჩაგრულ-დამცირებული და მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდებოდა ხოლმე იგი, როცა გამანადგურებელის ხითხითით მიაგებებდნენ მას სარკეს, რომ დაენახა შიგ თავის უძმური თავი. და ეს ხდებოდა სწორედ მაშინ, როდესაც ქალს ეგონა, ეს არის მეც სხვებთან ერთად დავეწაფე ცხოვრების სიტკბოებასო. სახტად დამრჩალი ქალი უმწეოდ ღა იხედებოდა იმრგვლივ და მხოლოდ მასღა ნატრობდა, გარღვევულიყო დედამიწა და თან ჩაეტანა იგი. ბრუნდებოდა ბაბუცა შინ დამცირებულ-დამდაბლებული, უარყოფილი, გათახსირებული, რომ აქ განძარტოებით მისცემოდა ბნელ სასოწარკვეთილებას. გარნა ნორჩი ბუნება ისევ თავისას ითხოვდა მძლავრად, კვლავ გაიტაცებდა ქალს, ავიწყებდა, რომ მას არავითარი უფლება აღარა ჰქონდა ჯდომილიყო ცხოვრების ტალღაზე სხვა რჩეულებთან ერთად, რომ მათთან თანასწორად მიეღო კეთილისაგან ქვეყნისა.

— რადა, რად?! რა დამიშავებია, ღმერთო, რომ საქავოსვე მომაგე სატანჯველი დაუსრულებელი? ნუთუ მისთვის მომეცი სიცოცხლე ცნობიერი, რომ საზიზღრად შეგექმენ და პირქვე დაგემარხნე?! ეს არის შენი სამართალი, შენი ყოვლად სახიერება? უწყალო ყოფილხარ, ბოროტის მომნიჭებელი!—ჰგმობდა ბაბუცა შემოქმედს.

და ეს განუწყვეტელი მისი წამება ხან ღვივდებოდა, ეგზნებოდა, უკიდურეს სიმწვავეს აღწევდა და დასანთქმელად გასწირავდა ქალს; ხან დაეშვებოდა, მიმქრალდებოდა, ჩანავლდებოდა, გარნა ფერფლ ქვეშ ღვივოდა, ვით ცეცხლი უშრეტი. ხოლო ერთს დღეს ქალის ამ გაწამებამ ისეთს სისასტიკეს აწია, რომ მძლავრად დაზნიქა, თითქმის გადაფშვნიტა ღერო მისის სიცოცხლისა.

ვ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

ვიჩი, ნ. მარკოვი, მ. ზამისლოვსკი და სხვ. პირველად თურმე ხვოსტოვს სთხოვეს ფინანსთა სამინისტროს წინაალმდეგ სიტყვის თქმა, მაგრამ, როდესაც მან უარი განაცხადა, მაშინ მარკოვ მეორეს მიანდეს. მარკოვის სიტყვას ძრიელ ცუდი შთაბეჭდილება მოუხდენია კოკოვცევზე. ამბობენ, როდესაც იგი მოსკოვიდან პეტერბურგს დაბრუნდა, ასეთი სიტყვებით მიესალმა სადგურზე დასახვედრად შეკრებილ თანამოსამსახურეებს:

— გამარჯობა, ქურდებო! ქურდი მოგიძღვნისთ სალამსაო...

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

4 ივნისი.

უცხოეთი.

სტამბოლი. ახალი კაბინეტის შემადგენლობა: დიდი ვეზირი და გარეშე საქმეთა მინისტრი საიდ-ხალიმ-ფაშა, შეიხ-ულ-ისლამი—მეხმედ ესსად ეფენდი, სახელმწიფო საბჭოს პრეზიდენტი—ხალილ ბეი, შინაგან საქმეთა მინისტრი—თალაათ ბეი, სამხედრო—იზეთ ფაშა, საზღვაო—ჩურუკ სულუ მაჰმუდ ფაშა, სამართლის—იბრაჰიმ ბეი, ფინანსების—რიფაატ ბეი, განათლების—შუქრი ბეი, ვაჭრობის—სულეიმან ბასტანი, საზოგადო მუშაობის—ოსმან ნიზამი ფაშა, ვაკუფების—ხაირი ბეი, ფოსტისა—ოსიკან ეფენდი.

ბუდაპეშტი. გაიხსნა კონგრესი მსოფლიო კავშირისა ქალთა საარჩევნო უფლებათა დამცველებისა.

თეირანი. ხმებია ენზელში სალარუდ-დოულეს მომხრენი დაუპერიათ. სალარის ბინადრობა ჯერ არ იციან. მის დასაპერად ვაგზავნილი ყაზახების ბრიგადა ჯერ ყაზვინს არ მისულა.

ლონდონი. გარეშე საქმეთა მინისტრის მეორე თანაშემწე სერ ლუი მალლეტი სტამბოლში ელჩად დაინიშნა.

სუფრაჟისტკა პანკგერსტი გაანთავისუფლეს ციხიდან. მიტინგზე პროტესტი განაცხადეს მის ხელ-ახლა დაპერის წინააღმდეგ. სუფრაჟისტკებმა დაადგინეს, ლიბერალ დეპუტატის არჩევას ხელი შეუშალონ, მთავრობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

პარლამენტის ირლანდიელ წევრთ რედმონდის მეთაურობით მიტინგი გამართეს გლაზგოში ჰომრულის სასარგებლოდ.

მილანი. მუშათა საგენერალო შტაბის გადაწყვეტილების თანახმად სერთო გაფიცვა მოხდა 3—ივნისს გაფიცვაში მონაწილე მუშების დასჯისთვის. გაფიცვაში, რომელიც ძალიან გავრცელდა, მონაწილეობენ ტრამვაის ვატმანები; ამიტომ ტრამვაის მიმოსვლა შესწყდა. ბევრი შეტაკება მოხდა გაფიცულ მუშათა და პოლიციის შორის. ერთი აფიცერი დანით არის დაჭრილი, რამდენიმე ჯარის კაცი ქვებითა და ჯოხებით. ბევრია დაპატიმრებული. საღამოთ ყველაფერი დაწყნარეს.

ბელგრადი. სერბიის პრესს ბიუროო იტყობინება, რომ პაშიჩმა სამსახურიდან გადადგომის ქადალდი შეიტანა, მაგრამ მეფემ არ მიიღო. ამგვარად სამინისტროს კრიზისი თავიდან აშორებულია. პაშიჩი კვლავ განაგრძობს იმ პოლიტიკას, რაც აღნიშნა უკანასკნელად სკუპჩინაში.

ვენა. პალატაში პრეზიდენტ სილვესტერს ჰსურდა სიტყვა ეთქვა ვილგელმის 25 წ. მეფობის გამო, მაგრამ პოლონელები და ჩეხები დარბაზის დატოვებას აპირებდნენ, უნდოდათ დემონსტრაციაც მოეხდინათ.

ჩეხების ნაციონალისტების ბელადმა შოკმა განაცხადა, რომ თუმცა ავსტრია-ჰუნგრეთი სლავიანთა ქვეყანაა, მაინც ავსტრიის პარლამენტს ზეიმი არ გაუმართავს რომანოვთა გვარეულობის იუბილეის გამო.

სოფია. ბულგარეთის წარმომადგენელი ბელგრადში 4 ივნისს გადასცემს სერბიის მთავრობას ბულგარეთის პასუხს დემობილიზაციის შესახებ. გეშოვი საზღვარ-გარეთ წავიდა. 5 ივნისს სილისტრიაში მიდის შერეული კომისია პეტერბურგის კონფერენციის გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად ბულგარეთ-რუმინიის დავის შესახებ.

ათინა. ოფიციალური ცნობაა, რომ ვენიზელოსი დასთანხმდა პეტერბურგში ბალკანეთის სახელმწიფოების მინისტრ-პრეზიდენტთა თათბირში მონაწილეობა მიიღოს.

ვენა. გერმანელთა პარტიებმა დეპუტატთა პალატაში მანიფესტაცია მოახდინეს ვილჰელმის იუბილეს გამო. გერმანელმა დეპუტატმა არომ პროტესტი შეიტანა, რომ სლავიანთა გამოპასუხების გამო პრეზიდენტმა უარი სთქვა საიუბელიო სიტყვაზეო.

ლონდონი. ინდუსების მიტინგზე ვანკუვერაში რეზოლიუცია მიიღეს, რომელიც მოითხოვს, რომ ინდუსებს კანადაში დასახლების ნება მიეცეთ. მიტინგში მონაწილენი აცხადებენ, ამგვარი მდგომარეობა არ შეშვენის ბრიტანიის ზნესა და სამარცხვინოა ინდოეთისთვის, კანადისა და ბრიტანიის იმპერიისთვის.

ბუქარესტი. ლიბერალთა კრებაზე პარტიის ბელადმა ბრატიანუმ განაცხადა, რომ სამხრეთ საზღვარზე შეცვლის თანახმად დიპლომატიამ მეტის გულის ყურითა და ბეჯითობით უნდა იმუშაოს, ამიტომ რუმინელთ სჭირიათ სულითა და რიცხვით ძლიერი ჯარი.

მილანი. ბევრ სამრეწველო ქარხნებში მუშაობაა. გაფიცულნი შეეცადნენ ტრამვაის შეყენებას, მაგრამ ჯარმა გაჰფანტა.

რუსეთი.

ადესა. რუსის საზოგადოების გემით აუარებელ ჯარის თანხლებით ალექსანდრიიდან მოიყვანეს 1905 წლის გაფიცვის მეთაურები მეზღვაურნი ადამოვიჩი, ტერსკი და ოდოევსკი.

პეტერბურგი. დაიპირეს „ზავეტი“ № 5.

„კანონთა კრებულში“ გამოქვეყნებულია უძაღლესი ბძანება სენატისადმი სრულიად რუსეთის სამზრუნველოს დაარსების შესახებ დღდობისა და ბავშვობის დაცვისა. საცენტრალო ორგანოდ იქმნება პეტერბურგში ცალკე ინსტიტუტი ბავშვების-მოსათავსებლად. გადადებულია ხარჯად 1,010,00 მ. თავის პროცენტებით, რაც შეწირულია პეტერბურგისა და მოსკოვის საკომერციო ბანკებისგან რომანოვთ გვარეულობის 300 წლის იუბელს გამო.

მოვიდა საბერძნეთის მეფისწული გიორგი.

თეატრი და ხელოვნება

ქ. თელავი. წარსულ თვეში თელავს ესტუმრა „მოგზაური“ დასის მსახიობთა ამხანაგობა ქ-ნ აპალონია, ბეჟანიშვილი, ბ-ნი ბარველი, კორიშელი, ყალაბეგიშვილი, ქავთარაძე და ჩაგუნავა.

დადგეს სამი წარმოდგენა და 1-ლ ამ თვეს ქიზიყისკენ გაემგზავრნენ. სამწუხაროდ ამ წარმოდგენებს ხალხი ძრიელ ნაკლებად ესწრებოდა და ზოგჯერ ხომ ცარიელ დარბაზში მოუხდათ გამოსვლა.

ეს არც გასაკვირველია! ალბათ თელავის საზოგადოებას ქართული თეატრი ვერ აკმაყოფილებს... მაშინ, როცა ამ ზამთარს ესიკოვსკის ცირკში დიდი ხალისით დაიარებოდა და მიუხედავად ზამთრის ყინვებისა, საბნებითა და ნაბად-ყაბალახებით მთელ ღამეებს ათევდა იქ. **დ—ლი.**

ფემოწირულება

ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოებამ 26 მაისის სეირნობისათვის შეწირულება მიიღო: 1) ელენე გიორგის ასულ ვაჩნაძისაგან 1 ნივთი, 2) ვანო ადუაშვილმა ოთხი ნივთი, 3) კარაპეტ პაპაზიანმა 1 კოლოფი საპონი, 4) მიხ. ვარსიმოვმა 50 კაპ., 5) არ. სურენგეგოვმა 1 ბ. ღვინო, 6) ზოლოტნიცკიმ 15 ნივთი აფთიაქიდან, 7) მარ. ვარტანიანცმა 1 ბანბანიორკა, 8) ფ. გოგშელიძემ 10 კაპ., 9) მ. გაბინაშვილმა 1 ლამპის მძივი, 10) თ. კარაბოვმა 1 მოსახვევი, 11) ვ. ალაბაბოვმა 1 ლაიკის ხელთათმანი, 2 დ. ღილები, 12) მ. ისაკულოვმა 1 ცხვირსახოცი, 13) ვ. კოზანოვმა 1 ბ. ღვინო, 14) არ. ვართანოვმა 1 ბ. ლიმონადი, 15) დ. ბალაბოვმა 5 კაპ., 16) არ. მუჩაიძემ 3 მანეთი, 17) ალ. ლასურაშვილმა 2 ბაკლაჟანი, 18) ა. კივიევმა 1 საპონი, 19) არ. არუთინოვმა 1 ბ. ლუდი, 20) მ. ბენიაშვილმა 2 ქუდი, 21) მარ. ბაბზინმა 1 პატარა სარკე, 22) ლეონ აჩუკიანცმა 2 სტაქანი და ერთი ლამბაქი, 23) კნ. ნატ. ბარათაშვილისამ 1 პურის კალათი, 1 ბროლის საშაქრე, 1 ფინჯანი, 1 საფერფლე, 1 აბრეშუმის ხელსახოცი, 24) კვეზერელი-კოპაძისამ: 1 წყ. პატარა ტუფლი, 1 წყ. ხელთათმანი, 1 კატის ვაზა, 1 შალის მოსახვევი, 3 ც. ხილის სალფეტკი, 1 ხილის ბანკა, 1 ბ. კონიაკი, 1 ბ. მანახორი, 25) ყაჯარდუზოვისამ: 1 ყვავილის ვაზა, 1 ყვავის ფინჯახი, 1 ბროლის თეფში, 26) მ. ფორაქიშვილისამ 2 საფერფლე, (ელენე ჯაფარიძის ხელით): 27) პარიკმახერთა ამხანაგობისაგან 50 კაპ., 28) გ. ნასარიძისაგან 1 კოლ. კამფეტი, 29) კავკასიის პარიკმახერთაგან 50 კ., 30) რალე 12 ც. საპონი, 31) ნაზარბეგოვმა 3 კოლ. ყავა, 1 წიწაკა, 1 კ. ყავა, 2 კონსერვი, 2 კ. პეჩენიე, 32) ამირაჯიბისაგან პარიკმახერ. 8 ცალი წვრილმანი, 33) ლოტი კანდ. 6 კოლოფი კამფეტი, 34) საკაინცი კანდ. 6 კოლოფი კამფეტი, 35) რენიე 6 კ. კამფეტი, 36) ტარუმოვისაგან 2 ბ. ყავა. (მარიამ გიორგ. ზარდიაშვილის ხელით) 37) გრ. ნიკ. ბილანოვისაგან 1 მან., 38) მარო ზარდიაშვილისაგან 1 მან., (ალ. პავლეს ძე ნეიმანის ხელით) 38) ბარბარე ვასილის ასულმა ვასილიევისამ 50 კაპ., 39) დავით დაფქვიაშვილმა 1 მან., 40) მიხეილ ჩოფიკაშვილმა 1 მან., 41) ზაქარია ანდრონიკაშვილმა 50 კაპ., 42) ალექსანდრე მჭედლიშვილმა 1 მ., 43) სტატს დამა კნეინა ბაგრატიონ-მუხრანსკისამ 20 მან., 44) ეკატ. დიდებულიძემ 20 კაპ., 45) ალ. დიდებულიძემ 15 კ., 46) ნინო ერისთავისამ 20 კაპ., 47) ცეცილიამ 20 კაპ., 48) ანნა ქარუმიძემ 50 კაპ., 49) შალვა ქარუმიძემ 50 კაპ., 50) ვასილ კახიძემ 1 მან., 51) დიმ. ახვლედიანმა 50 კაპ., 52) პლატონ ლომიძემ 10 კ., 53) სანდრო ჯაფარიძემ 30 კ.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გაახლებთ-რა ამასთან 37 მანეთს, შეგროვილს ჩემს ოჯახში ნაცნობთა შორის, გთხოვთ შეუერთოთ ეს წვლილი იმ თანხას, რომელიც დანიშნულია არჩილ ჯორჯაძის ძეგლის ასაგებად.

სია შემომწირველთა: 1. ნ. ბაზიეროვი 3 მან., მიხ. დაფქვიაშვილი 10 მან., მღ. დ. ბურთიკაშვილი 2 მან., პორ. წირქვაძე 2 მ., თამ. ნარიმანოვი 2 მ., ექიმი ანტ. ფალიაშვილი 3 მ, ნინო ნასიძე 3 მ., ნ. ღურბელაძე 1 მ., მართა დაფქვიაშვილი 5 მ., ნ. ლეჟავა 3 მ., მ. ლეჟავა 1 მ., მ. ბურთიკაშვილი 1 მ., გ. მჭედლიშვილი 1 მ., ანასტასია ფალიაშვილი 2 მან., სულ 37 მან.

მასწავლებელი **პ. წირქვაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჯუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა
(ზაფხულობით)
18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **სჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** ღილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

მცხეთაში. № 65, **საბაგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **სამგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4, 3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24, 23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **სჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 2, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

ჩემ კლიენტებს
საუბრადღებად

ვაცხადებ, რომ მათთვის უფრო ძოსახერხებლად ქალაქის შუაგულ ადგილს ავიღე სადგომები **განცხადებების მისაღებად**, როგორც ადგილობრივ, ისე ქალაქ გარეთის გაზეთებისა და ჟურნალებისათვის ფასის წვრილ-წვრილად გადახდით. ზოგიერთ გაზეთებიდან განსაკუთრებითი უფლება მაქვს განცხადებათა მიღებისა; იქვე ძიღება საწერ მანქანაზე გადაწერა ყოველგვარ საქმიან ქალაღლდებისა.

ადრესი: ტფილისი, 1) ერევნის მოედანი, პუშკინისა და სომხების ბაზრის კუთხე, დამზღვევი სახ. „ვოლგა“. 2) საატუძრ. „ვეტ-ცელი“, მიხ. პროსპ., **ტელ. № 380.** 3) ვაკე, ქართულ გიმნაზ. პირდაპირ, საკუთ. სახლი, **ტელეფ. № 925.**

1134 **აგენტი მ. ა. გაუოლნია.**

კბილის ექიმი ა. ბ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შ ე მ ზ ხ ა კ უ ნ ე ბ ა კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

პარიზის სულთანად ✦ ახალი ფასონები ✦
კოკესეტებისა
ვენის საკერავ ელექტრონის საუკეთესო ტიპი
მ. ა. ლევიტი
ტფილისში, ალექსეევის ქუჩა, ეტრე ფოდი და სოლოლაკის ქ. 1168.

მასწავლებელი
ს. ა. გრიაზნოვი
ამზადებს გიმნაზიისა, კომერციულისა და სამიწისმზომელო სასწავლებლ., საოსტატო ინსტიტუტისა და აფთიაქის შეგირდად, განმეორებითი გამოცდისათვის. მსურველთ მიიღებს სრულ პანსიონზე.

ვერა, იზმაილოვის მიმართვები, ბელინსკის ქუჩიდან სახლი 6, ბინა 8. 325

თელავში
კახეთის რკინის გზის ახლო იყიდება:
ვენახები, სასახლე და სახნავი მიწები და გაუტეხავი ტყე.
მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ **ფოტოგრაფს ივ. ზ. ბარკალაიას** ქ. თელავში. 1216

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

ილია ჭავჭავაძე:

კაცია ადამიანი?	20 კ.
გლეხის ნაამბობი	20—
ოთარაანთ ქვრივი	18—
ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი	3—
სახრჩობელაზე	5—
მგზავრის წერილები	7—
გლეხთა განთავისუფლების პირველ დროის სცენები	7—
უცნაური ამბავი	4—
რჩეული ლექსები	7—
განდეგილი	5—
კაკო ყანაღი	5—
დედა და შვილი	3—
დიმიტრი თავდადებული	7—
აი ისტორია	35 კ
ცხოვრება და კანონი	25—
კრიტიკული წერილები	25—
პოლემიკური წერილები	10—

ახლად მიღებული წიგნები:

შიო მღვიმის ხამი სიგელი სარ. კაკაბაძისა	40 კ.
ანდერძი დავით აღმაშენებელისა, შიომღვიმისათვის დაწერილი	20—
სიგელი მსახურთ უხუცესის გრიგოლ სურამელისა, 1250 წ. შიო მღვ. დაწერ.	15—
მცხეთის საკათალიკოსო მამულების გუჯარი, 1447—1448 წ. გიორგი IX-ს მიერ ბოძებული	10—

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

კანისა, ძვლისა და ნაიცხის წინააღმდეგ. კანის ქრონიკულ ავადმყოფისთვის. თმის მოსავლელად, ქერტლის წინააღმდეგ.

ნამ. დვრლი № 4711, კუპრის ხაშხი. მოყვითალო კოლოფში გაკეთებული მხოლოდ კანონით დარეგისტრირებული № 4711 ერთად-ერთის მეკარხნე **გერდ.**

ისყიდება ყველგან. **მიულენსი** კელნი—რიგა.

1342 8. 239597.

მიტროფანე ლაღიძის და ამხ.

ფრიად სასიამოვნო ლობისათვის მარგესი და სურნელების **სამკურნალო**

სასმელი და ჯანმრთელი საამური გემოები **ხილეული, და მინერალური**

წყალი

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვნისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად განწმენდილ მასალებისაგან, გამოხდილ და ნადუღი წყალით

გამოცდილ სპეციალისტის ხელმძღვანელობით.

რადგანაც ჩვენი ქარხნის წყალის ნაცვლად ხშირად **დაბალ ღირსების წყალს აწვდიან** პატივცემულ საზოგადოებას და აგრედვე გავრცელებულია ჩვენი ეტიკეტის მიმსგავსებანია უმორჩილესად ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, **ყურადღება მიაქციოს ბოთლებზე ჩვენს ეტიკეტ ქარხნის ნიშნით და აგრედვე თავსაცობს ზედ-წარწერით:**

„М. ЛАГИДЗЕ“.

ქარხნები: ტფილისში, გოლოვ. პროსპ., № 6, ტელეფონი № 411; ქუთაისში, პუშკინის ქუჩა, № 5, ტელეფონი № 151. 1214

ახალი სითხე „ჟაკმენი“

არის ერთად-ერთი **საშუალება** ვენახებისა, ბაღებისა და სხვა მცენარეთა **სოკოს ავადმყოფობის მოსრჩენისა და მავნე მწერთაგან დაცვისა.**

მიღებული აქვს საპატიო დიპლომი ქუთაისს 1909 წლის ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. ნარდი და წვრილი ვაჭრობა

„ი. გოკიელოვეგისა და შვილების“

საავადმყოფო სახლში, ქ. ქუთაისში.

განმარტება „ჟაკმენის“ სითხის სარგებლობის შესახებ მსურველს შეუძლიან მიიღოს რუსეთის ერთად-ერთ წარმომადგენელთან

კანტორა „ძლო-ძბურულში“, ქუთაისში. 301

მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი

ძმ.

ძეგველოვები.

ახალ-ახალი
მტკვრისა თართი, ზღვისა, ლოქო, და სუდაკი.
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა ქიტკა
აგრედვე ყოველ დროს იყიდება **მაღაზიაში მარტის დღეში, იანი, ჭიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თ ე ვ ზ ე უ ლ ო ბ ა** და

კონსერვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.